ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

## ვარკეთილში 16 წლის ბიჭს დალუპვამდე მობილური წაართვეს


გვ.2

24 სექტემბრიდან

თენგიზ პაპუაშვილი

საინგილო

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი




შაბათი — კვირა, 28 — 29 სექტემბერი, 2019 №230 (8184) ფასი: 60 თეთრი

# „ოთარ ფარცხალაძე ჩემი მეგობარია, თუმცა პროკურატურაში მისი რეკომენდაციით არ მივსულვარ“


გვ.5

მამუკა ვასაძე: „მერაბიშვილის საკნიდან გაყვანის საქმეზე დანაშაულის ნიშნები ვერ დადგინდა“


გვ.3

## „საქართველოს ხელისუფლება ცდილობს, რუსეთს შეეტენოს“

დავით ზურაბიშვილი: „რუსეთთან ერთი ერთზე დარჩენა და პირისპირ საუბარი საფრთხის შემცველია“


გვ.3

გია ბარამიძე: „ბესელია „ოცნების“ ხერხემალი იყო და მისი მხილებები ამიტომაა ფასეული“

### ანა დოლიძე საზოგადოებრივ მოძრაობას ქმნის


გვ.2


გვ.4

ბიძინა გუჯაბიძე: „მამუკა ხაზარაძე არჩევნებში 2-3%-ზე მეტს ვერ აიღებს“

### „პრეზიდენტის ამოცანაა, როგორმე კარგად მივიდეს პენსიამდე“


გვ.3


გვ.2

### „მოვითხოვთ ეკატერინე ტიკარაძის მოხსნას!“

რა ხდება ჯანდაცვის სამინისტროში

**სამართალი** გვ.5

### ნანა კაკაბაძე: „მსჯავრდებულები სალომე ზურაბიშვილს უჩივლებენ“



### პატიმარმა ფეხი პოლიციის მანქანის მძღოლს გაარტყა

მანქანა სამარშრუტოს შეეჯახა და ამოტრიალდა



### პროკურატურაში დიმიტრი გაბუნიას საადვოკატო ბიუროს პარტნიორები დაიბარეს





4 ბერლინში ზელიმხან ხანგოშვილის მკვლელობა დაგეგმილი ოპერაცია იყო



2 „ლარი წლის ბოლომდე გამყარებას დაიწყებს“



6 კადიროვი ავად არის



8 ლაშა ტალახაძე ოქროებსა და რეკორდებს აგროვებს

ISSN 1987-9385

# ანა დოლიძე საზოგადოებრივ მოძრაობას ქმნის

## გიორგი ქობულია, ლევან კობერიძე, ლევან გოგიჩაიშვილი — ვინ იქნება მასთან



იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი ანა დოლიძე საზოგადოებრივ მოძრაობას ქმნის, რომელიც, სავარაუდოდ, პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბდება და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას.

როგორც დოლიძემ 2020 ნიუსს განუცხადა, ამჟამად მოძრაობის ჩამოყალიბების მიზნით ყოფილ და მოქმედ პოლიტიკოსებთან კონსულტაციებს აწარმოებს.

***— ქალბატონო ანა, საზოგადოებრივი მოძრაობის დაფუძნება რატომ გადაწყვიტეთ?***

— ვფიქრობ, ჩემს საზოგადოებრივ აქტიურობას ფორმალური სახე უნდა მივცე. მოგეხსენებათ, საზოგადოებრივად დიდი ხანია ვაქტიურობ, მაგრამ გარკვეული მიზნების მიღწევის მიზნით, ბევრი ადამიანის ირგვლივ შემოკრება ძალიან მნიშვნელოვანია. ადამიანები, რომლებსაც ვხვდები, მეუბნებიან, რომ ამ მხრივ ვიაქტიურო. როგორც კი საზოგადოებრივი მოძრაობის დაფუძნების თარიღი გვეცოდინება, აუცილებლად გაგაგებინებთ.

***— საზოგადოებრივ მოძრაობაში პოლიტიკოსები, მათ შორის, ცნობილი სახეები იქნებიან?***

— კი, აუცილებლად. იმ ადამიანებთან მაქვს კონტაქტი, რომლებიც იყვნენ და არიან აქტიურ პოლიტიკაში. იმის გამო, რომ ამ ადამიანებთან მყარი შეთანხმება მიღწეული არ მაქვს, ჯერჯერობით, სახელებსა და გვარებს ვერ დაგისახელებთ. გეტყვით, რომ თანამშრომლობას არ ვაპირებ „ქართულ ოცნებასთან" და ნაციონალურ მოძრაობასთან, რომლებსაც დიდი ხანია, ვებრძვი.

***— ჩვენი ინფორმაციით, თქვენ კონსულტაციებს აწარმოებთ თანამდებობიდან სკანდალურად წასულ ყოფილ ეკონომიკის მინისტრ გიორგი ქობულიასთან, რომელმაც პოლიტიკაში მოსვლა არ გამორიცხა. აღნიშნული ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამება?***

— მე გიორგი ქობულია ახლახან გავიცანი, მას პოზიტიურად ვახასიათებ, მხოლოდ ეს შემიძლია გითხრათ. თუ გიორგი ქობულია ჩვენს მოძრაობაში იქნება, სიამოვნებით წარგიდგენთ.

***— ასევე, ჩვენი ინფორმაციით, მოძრაობაში გაერთიანების მიზნით მოლაპარაკებებს აწარმოებთ „ქართული ოცნების" ყოფილ, ამჟამად კი პარლამენტის დამოუკიდებელ დეპუტატებთან ლევან კობერიძესთან და ლევან გოგიჩაიშვილთან. ამ ინფორმაციას ადასტურებთ?***

— ლევან კობერიძესთან და ლევან გოგიჩაიშვილთან ძალიან კარგი და საქმიანი ურთიერთობა მაქვს. ამ ინფორმაციას ვერც დაგიდასტურებთ და ვერც უარვყოფ.

***— თქვენ პალიტრანიუსის გადაცემა „შუადღის სტუდიაში" განაცხადეთ, რომ 2020 წელს ახალი საზოგადოებრივი მოძრაობა პოლიტიკურ ამინდს შექმნის. მოძრაობა, რომლის სახელი ჯერჯერობით უცნობია, პოლიტიკურ პარტიად გადაკეთდება და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს?***

— ჯერჯერობით, ვერ გეტყვით, რადგან აღნიშნული მოძრაობის წევრთა საერთო შეთანხმების საგანია. ერთი შემიძლია გითხრათ, რომ ამ ქვეყანაში სერიოზული ცვლილებები უნდა განხორციელდეს, რაც, პირველ ყოვლისა, საზოგადოების დაკვეთაა.

***— თქვენ მამუკა ხაზარაძესთან მოლაპარაკებას აწარმოებდით, რომელთან ერთადაც საზოგადოებრივ მოძრაობაში უნდა ყოფილიყავით. მოლაპარაკება რატომ ვერ შედგა?***

— მე და მამუკა ხაზარაძეს გვქონდა რამდენიმე საქმიანი შეხვედრა. უბრალოდ, ვფიქრობ, რომ გუნდის წევრები თავიდანვე უნდა იყვნენ შეთანხმებულნი, მოძრაობაში რას გააკეთებენ. საზოგადოებრივ მოძრაობაში გუნდის წევრები პრინციპების ირგვლივ უნდა გაერთიანდნენ და არა პიროვნული სიმპათიის გამო.

მე გადავწყვიტე, რომ ძალიან ბევრ ადამიანთან ერთად ჩვენი ფორმატით ვიმუშაოთ.

2020 ნიუსი

# „ლარი წლის ბოლომდე გამყარებას დაიწყებს"



ფინანსთა მინისტრ ივანე მაჭავარიანს სჯერა, რომ ეროვნული ბანკის მიერ გადადგმული ნაბიჯების შედეგად „ლარი არა მარტო დასტაბილურდება, არამედ წლის ბოლომდე გამყარებას დაიწყებს".

როგორც ივანე მაჭავარიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, ამ ეტაპისთვის ყველა პირობაა, რომ ლარის გამყარებაზე ვიფიქროთ.

— მინდა გითხრათ, რომ ხელისუფლების მიერ განხორციელებული ფისკალური პოლიტიკა არანაირად არ უწყობს ხელს ლარის გაუფასურებას. ეს მცდარი მოსაზრებაა. ჩვენი ფისკალური დეფიციტი დაგეგმილის ფარგლებშია. ჩვენი ხარჯვა არის პასუხისმგებლიანი, შესაბამისად, ამ მხრივ, ლარზე ზეწოლა არაა, თუმცა არაერთხელ ვთქვით, რომ იყო სხვადასხვა ფაქტორი, საგარეო და მათ შორის შიდა პოლიტიკური ფაქტორები, რომლებმაც ეს გამოიწვია.

მე მგონია, რომ ეროვნული ბანკი ამას ძალიან დიდი ყურადღებით ადევნებს თვალყურს.

რასაკვირველია, ჩვენ შორის არის და იქნება კოორდინაცია, უბრალოდ, მაინც უნდა ვაცნობიერებდეთ, რომ ეროვნული ბანკი დამოუკიდებელი ინსტიტუციაა.

ის ნაბიჯები, რომლებიც ბოლო პერიოდში გადაიდგა, დღეს ეროვნული ბანკის მიერ ინტერვენციაც განხორციელდა, რამდენიმე დღის წინ იყო მონეტარული განაკვეთის აწევა, ეს ყველაფერი ერთობლიობაში თავის ნაყოფს გამოიღებს და ლარი არა მარტო დასტაბილურდება, არამედ წლის ბოლომდე დაიწყებს გამყარებას.

როდესაც ამას ვამბობთ ყველა ელოდება რომ ეს პროცესი დღეებსა და კვირებში მოხდება, თუმცა, სამწუხაროდ, ეს ასე არაა, ამას როგორც წესი, რამდენიმე თვე სჭირდება, მაგრამ კიდევ ვიმეორებ, მოლოდინი და პროგნოზები ლარი მიმართ არის პოზიტიური, — განაცხადა მაჭავარიანმა.

# ლარსზე კილომეტრიანი რიგი დგას

## მძღოლებს მანქანებში სძინავთ

ლარსზე კილომეტრიანი რიგი დგას. რუსეთის მხრიდან საზღვარზე მიმოსვლა სატვირთო მანქანების ნაწილისთვის, ფაქტობრივად, პარალიზებულია. მძღოლები რამდენიმე კვირაა დგანან და გადაადგილებას ვერ ახერხებენ.



მიზეზად რუსული მხარე სასაზღვრო პუნქტზე ტექნიკურ ცვლილებებს ასახელებს. როგორც ირკვევა, მოსკოვმა საზღვრებზე გადასატანი ტვირთის დასაშვები ნორმა შეცვალა.

მძღოლების თქმით, ახლა ვისაც მეტი წონა მიაქვს, ან ჯარიმა უნდა გადაიხადოს, ან ქრთამი. ისინი დახმარებას ხელისუფლებას სთხოვენ და ამბობენ, რომ ვითარება გაუსაძლისია.

მათი განცხადებით, უკვე რამდენიმე დღეა, ელემენტარული პირობებისა და საკვების გარეშე მანქანაში სძინავთ.

# გენერალი ნიკოლოზ ჯანჯღავა ავღანეთში ნატოს მისიაში მაღალ თანამდებობას დაიკავებს



საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის პირველი მოადგილე, ბრიგადის გენერალი ნიკოლოზ ჯანჯღავა ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში, ნატოს „მტკიცე მხარდაჭერის მისიის" მმართველობაში, უსაფრთხოების საკითხებში შტაბის უფროსის მოადგილის თანამდებობას დაიკავებს.

საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე აღნიშნულ თანამდებობაზე ერთი წლის განმავლობაში იმუშავებს.

ავღანეთში გამგზავრებამდე ბრიგადის გენერალ ნიკოლოზ ჯანჯღავას საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი შეხვდა. შეხვედრას საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაური, გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმერ ჩაჩიბაია დაესწრო.

ნატოს „მტკიცე მხარდაჭერის მისიის" მმართველობაში ( ქაბული) საქართველოს თავდაცვის ძალების წარმომადგენელი მაღალ თანამდებობას პირველად დაიკავებს.

„მტკიცე მხარდაჭერის მისიის" სამხედრო მართვის რგოლი ტრადიციულად ნატოს წევრი ქვეყნების უმაღლესი ოფიცრების შემადგენლობიდან კომპლექტდება.

ნატოს სამშვიდობო ოპერაციის მართვის პროცესში ქართველი გენერლის ამოცანას წვრთნების, რჩევისა და დახმარების ღონისძიებების უზრუნველყოფა წარმოადგენს.

ბრიგადის გენერალი ნიკოლოზ ჯანჯღავა ავღანეთის ისლამური რესპუბლიკის მთავრობასა და ნატოს უმაღლეს სამოქალაქო წარმომადგენელს შორის მჭიდრო სამხედრო-დიპლომატიური კავშირების განმტკიცებაზე იქნება პასუხისმგებელი. ავღანეთის ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების ძალების მზადყოფნის ამაღლების მიზნით, საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე საერთაშორისო მრჩევლების მუშაობას კოორდინირებასა და კონტროლს გაუწევს.

# „რუსეთმა უკანონო ოკუპაცია უნდა შეწყვიტოს"

## აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ზალკალიანისა და ლავროვის შეხვედრას ეხმიანება




ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი გაეროს გენერალური ასამბლეის ფარგლებში რუსეთისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრას მიესალმება. საგანგებო განცხადება მაიკ პომპეოს უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა მორგან ორტაგუსმა ტვიტერის გვერდზე გამოაქვეყნა.

— შეერთებული შტატები მიესალმება შეხვედრას, რომელიც შვეიცარიის შუამავლობით შედგა. ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. ასევე, მოვუწოდებთ რუსეთს, შეწყვიტოს უკანონო ოკუპაცია და შეამციროს ადმინისტრაციულ საზღვარზე დაძაბულობა, — წერს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი.

# ივა ჭყონია: „ფასების ზრდა გარდაუვალია"



დისტრიბუტორთა ასოციაციის ხელმძღვანელი ივა ჭყონია ლარის კურსის მკვეთრ გაუფასურებას გამოეხმაურა.

მიუხედავად ეროვნული ბანკის ჩარევისა, რის შემდეგაც ლარი დოლართან 3 თეთრით გამყარდა, დისტრიბუტორთა ასოციაციის ხელმძღვანელის პროგნოზი მაინც უიმედოა.

ივა ჭყონიას განცხადებით, ეროვნული ბანკის მხრიდან ჩარევა ლარის გამყარების პროცესში შედეგს ვერ გამოიღებს, თუ ეკონომიკური გუნდი არ გააქტიურდება.

— სამომხმარებლო კალათის ფასები ძალიან გაზრდილია, საშუალოდ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფასებმა 12 პროცენტით მოიმატა. მეწარმეები იძულებულები არიან, ფასები კიდევ უფრო გაზარდონ, ზრდა გარდაუვალია და ეს ტალღად კი არა, ცუნამად შეიძლება დაატყდეს თავს ქვეყანას, — განაცხადა ივა ჭყონიამ.

# ვარკეთილში 16 წლის ბიჭს დაღუპვამდე მობილური წაართვეს

## დაკავებულია 6 პირი



ვარკეთილში, იმ უბანში, სადაც მე-11 კლასელი საცხოვრებელი კორპუსის სახურავიდან გადმოხტა, რამდენიმე დაკავების ოპერაცია ჩატარდა.

საქმის ახალ დეტალებზე შინაგან საქმეთა სამინისტროში კურიერის ყველა კითხვა უპასუხოდ დატოვეს. უწყებამ მხოლოდ ის დაადასტურა, რომ მომხდარზე საქმე 115-ე მუხლითაა აღძრული, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს, ხოლო 6 პირი 178-ე, ძარცვის მუხლით დააკავეს.

იმის გამო, რომ დანაშაულში არასრულწლოვნებიც არიან, საქმის განხილვები სასამართლოში, სავარაუდოდ, დახურული იქნება.

ერთ-ერთი დაკავებულის ბებია ყვება, რომ გარდაცვლილს ნაცნობებმა ტელეფონი წაართვეს და დაალომბარდეს. სკოლის მოსწავლეს უთხრეს, რომ მომხდარის შესახებ არსად არაფერი ეთქვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაემუქრნენ.

ბრალდებულების ახლობლებს უჭირთ გამოძიების ოფიციალური ვერსიის დაჯერება, რომ თვითმკვლელობის მიზეზი შეიძლებოდა მხოლოდ მობილური ტელეფონის წართმევა ყოფილიყო.

საქმის მასალებით დგინდება, რომ დაკავებულების გარდა, კიდევ ერთი პირიც ფიგურირებს — ტაქსის მძღოლი დავით დავითაშვილი. სწორედ ეს არის პიროვნება, რომლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობითაც გარდაცვლილის მობილური ტელეფონი დალომბარდდა.

საქმე მოცულობითია და მტკიცებულებებს ადვოკატები ახლაც ეცნობიან.

16 წლის მოზარდის ცხედარი 9-სართულიანი კორპუსის ეზოში 3 დღის წინ ნახეს. ახლობლები თვითმკვლელობის საეჭვო გარემოებებზე თავიდანვე საუბრობდნენ, თუმცა ამ დრომდე მომხდარის დეტალები უცნობი იყო.

მოზარდს 28 სექტემბერს დაკრძალავენ.

# „მოვითხოვთ ეკატერინე ტიკარაძის მოხსნას!"

## რა ხდება ჯანდაცვის სამინისტროში




დევნილები, რომლებიც ჯანდაცვის სამინისტროში უკვე 10 დღის განმავლობაში იმყოფებიან, შენობის დატოვებას არ აპირებენ.

მათ 27 სექტემბერს მორიგი აქცია გამართეს, რომლის ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნად თავშესაფრით უზრუნველყოფა რჩება.

დევნილები მინისტრთან შეხვედრას ითხოვენ.

— გუშინ საღამოს ჩვენთან გასაუბრება ცადა სამინისტროს ორმა მაღალჩინოსანმა — წოწკოლაურმა და გორგაძემ. მათი დამოკიდებულება ჩვენი სენსიტიური საკითხების მიმართ არის უპასუხისმგებლო, ცინიკური, არაადამიანური და არაპროფესიონალური. ამ ბატონებს ავიწყდებათ, რომ ჩვენი გადახდილი გადასახადებიდან იღებენ ხელფასს და ვალდებულნი არიან, იზრუნონ ჩვენი პრობლემების მოგვარებაზე, — განაცხადა აფხაზეთიდან დევნილმა ნინო ბუკიამ.

აქციის მონაწილეებმა დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრ ეკატერინე ტიკარაძეს ორშაბათამდე მისცეს ვადა, რათა მათი მოთხოვნები დააკმაყოფილოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი პროტესტი ფორმას შეიცვლის და გახდება კიდევ უფრო უკიდურესი, ამასთან, საკითხებს დაემატება მინისტრისა და მისი მოადგილეების დაუყოვნებლივი გადადგომის მოთხოვნა.

— საქართველოში გამთენიისას დაბრუნდა მინისტრი და ჩვენთან, დევნილებთან, არ გამოჩენილა. ამ ქმედების შემდეგ ჩვენთვის ყველა კითხვის ნიშანი მოხსნილია. მათ არ სურთ, იდგნენ გაწბილებული ხალხის გვერდით.

ქალბატონ მინისტრს ორშაბათამდე ვაძლევთ ვადას, დაუყონებლივ იქნეს მოგვარებული ჩვენი პრობლემები და წარდგენილი ყველა საკითხი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი პროტესტი შეიცვლის ფორმას და გახდება კიდევ უფრო უკიდურესი.

საკითხებს დაემატება მინისტრისა და მისი მოადგილეების დაუყოვნებლივი გადადგომის მოთხოვნა, — განაცხადა ნინო ბუკიამ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური — 294-02-55
დირექტორი — ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „საქართველოს ხელისუფლება ცდილობს, რუსეთს შეეტენოს“

## დავით ზურაბიშვილი: „რუსეთთან ერთი ერთზე დარჩენა და პირისპირ საუბარი საფრთხის შემცველია“

ნათია ხურცილავა

**რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დავით ზურაბიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში რუსეთის საგარეო მინისტრ სერგეი ლავროვისა და საქართველოს საგარეო მინისტრ დავით ზალკალიანის შეხვედრაზე საუბრობს.**

***– ბატონო დავით, თქვენ როგორ შეაფასებთ სერგეი ლავროვისა და დავით ზალკალიანის შეხვედრას?***

– მნიშვნელოვანია, რა ფონი ახლავს შეხვედრას. ეს შეხვედრა შეიძლება ჩაითვალოს კარგადაც და ცუდადაც. აქ პრობლემა არის ის, რომ საქართველოს ხელისუფლება ნებისმიერ ფასად ცდილობს, მთელ მსოფლიოს დაანახოს, რომ რუსეთთან ურთიერთობაში პროგრესი აქვს, რაც ტყუილია.

***– თქვენ რა საფრთხეს ხედავთ?***

– რუსეთთან ერთი ერთზე დარჩენა და პირისპირ საუბარი საფრთხის შემცველია. თითქოს რაღაცას მივაღწევთ და საქმე უკეთესობისკენ მიდის. ასე ერთი ერთზე დარჩენითა და საერთაშორისო ფორმატების, ჟენევის ფორმატის იგნორირებით უფრო რუსეთის „გარეცხვას“ ვემსახურებით საერთაშორისო ასპარეზზე. იმის წარმოჩენა, რომ რუსეთი რაღაც კონსტრუქციულობას იჩენს და დიალოგშია, არ არის მომგებიანი საქართველოსთვის.

***– ამ ერთ კონკრეტულ შეხვედრაზე რა შეიძლება განხილულიყო? ზალკალიანი აცხადებს, რომ ოკუპაციის საკითხი განიხილეს, ლავროვი რეგიონულ პრობლემატიკაზე საუბრობს.***

– ეს ერთი, კონკრეტული შეხვედრა 10-წლიანი პაუზის შემდეგ მოხდა, სადაც ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი უნდა განხილულიყო. ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უნდა იყოს მიღებული, მნიშვნელოვანი პრეტენზია უნდა იყოს წაყენებული. 10 წლის შემდეგ ასეთი რაღაც რომ იწყება, მე ვფიქრობ, ეს მხოლოდ რუსეთისთვის არის სასარგებლო და საქართველოსთვის – საზიანო.

***– მაინც რას უკავშირებთ ამ შეხვედრას?***

– ბოლო დროს, განსაკუთრებით ბოლო თვეებია, რაც საქართველოს ხელისუფლება ძალიან მკაფიოდ გადაიხარა რუსეთისკენ, ყველანაირად ცდილობს, რაღაცნაირად მისი გული მოიგოს, უხეშად ვიტყვი, „შეეტენოს“. მართალია, ჯერ კიდევ, მადლობა ღმერთს, ვერ ბედავს, ამ მიმართულებით უფრო არსებითად წავიდეს, თუმცა გაუგებარია, მეტი რაღა უნდა დავთმოთ?! რუსეთმა, დამოუკიდებლობის გარდა, ყველაფერი წაგვართვა.

აშკარაა, რომ ხელისუფლებას მცდელობა აქვს, რუსეთთან რაღაცნაირად დაათბოს ურთიერთობები უფრო იმიტომ, რომ რუსეთის მხარდაჭერა დაიგულოს იმისთვის, რომ ხელისუფლებაში კიდევ დიდხანს იყოს.

***– ვახტანგ ძაბირაძე არჩევნების კონტექსტში განიხილავს ამ შეხვედრას და 2020 წლის არჩევნებისთვის პრორუსულად განწყობილი ხმების მობილიზებას უკავშირებს. ეთანხმებით?***

– არა მგონია, მოსახლეობაში პრორუსული განწყობები ასეთი დიდი იყოს. ეს უფრო არის რუსეთის ხელისუფლების გულის მოსაგებად, რომ რუსეთის ხელისუფლებამ უერთგულოს არჩევნებზე. ვინც პრორუსულად არის განწყობილი, ის ისედაც „ოცნებას“ უჭერს მხარს ან „პატრიოტთა ალიანსსა“ და ნინო ბურჯანაძეს.



არ ვფიქრობ, რომ ამ მაჩვენებელმა არჩევნებისთვის მოიმატოს. რუსეთისადმი კონსტრუქციული ურთიერთობების დემონსტრირებით საარჩევნო ხმების დაგროვება ვერ მოხდება.

***– ლავროვი ფრენების აღდგენაზე, ვიზების შესაძლო გაუქმებაზე საუბრობს. რუსეთიც კეთილგანწყობას გვიფიქსირებს?***

– რა თქმა უნდა, ამ ტენდენციას ახალისებს. ეს ყველაფერი მათთვის ხელსაყრელია, ჩვენთვის არის საზიანო.

***– თუმცა ნატოს გაფართოებაზე ასე არ ამბობს – ომი არ იქნება, მაგრამ ჩვენს საზღვრებთან ნატოს მოახლოებას არ დავუშვებთო.***

– ლავროვმა იცის, რომ ჩვენს ხელისუფლებას ნატოში გაწევრიანების დიდი ენთუზიაზმი მაინცდამაინც არ ეტყობა, თუმცა ნატოში საქართველოს გაწევრიანება რომ რუსეთისთვის მიუღებელია, ეს არაერთხელ დაუფიქსირებია.

***– ხელისუფლების არგუმენტია, რომ წინა ხელისუფლებას რუსეთთან დესტრუქციული ურთიერთობა ჰქონდა, რასაც ომი მოჰყვა. ჩვენი პოლიტიკა უფრო რბილია და ამით ვინარჩუნებთ პოზიციას, რომ ომი არ გვაქვს. კონტრარგუმენტი რა შეიძლება იყოს?***

– წინა ხელისუფლების ზოგჯერ მართლაც გადაჭარბებული ემოციების, ლანძღვის მიზეზით არ ყოფილა ომი. ომი იმიტომ არ დაწყებულა, რომ ვიღაცები რუსეთს ლანძღავდნენ. სულ სხვა მიზეზები იყო, ბევრად უფრო რთული.

არავინ ითხოვს, რომ რუსეთის მიმართ აგრესიული რიტორიკა გვქონდეს, მაგრამ საუბარია საქართველოს სახელმწიფოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინტერესებზე, რომელთა წინააღმდეგაც რუსეთის განწყობა უცვლელია. როდესაც რუსეთის პოზიცია არ იცვლება, პირიქით, ნეგატიურია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ, საქართველოს ნატოში, ევროკავშირში გაწევრიანების მიმართ და ამ დროს ჩვენ წარმოვაჩინოთ, რომ საქართველო და რუსეთი შევრიგდით, კარგი ურთიერთობებისკენ მივდივართ, ეს პრინციპულად არ არის სწორი.

ისტორიული გამოცდილებაც გვეუბნება, რომ ჩვენი მხრიდან ცალმხრივი დატკბობა არ ამართლებს, არავითარი სასიკეთო შედეგი ამას არ მოაქვს. მსგავსი რამ შევარდნაძის მმართველობის პერიოდშიც კეთდებოდა, მაგრამ ამის გამო რუსეთის პოზიცია არ შეცვლილა.

ხელისუფლებაში არც ისტორია იციან და არც პოლიტიკური გამოცდილება აქვთ.

# გია ბარამიძე: „ბესელია „ოცნების“ ხერხემალი იყო და მისი მხილებები ამიტომაა ფასეული“

## „ეს უზნეო ხელისუფლება თვითონ არის ამ ჩანაწერის შემოქმედი“

იაგო ნაცვლიშვილი



ხუთშაბათს, 26 სექტემბერს, პარლამენტში მორიგი ინციდენტი მოხდა. მას შემდეგ, რაც საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ვანო ზარდიაშვილმა დამოუკიდებელი დეპუტატის ეკა ბესელიას მორალი ახსენა, მას და ბესელიას შორის ინციდენტი მოხდა – ბესელია მას ხელით შეეხო. ზარდიაშვილმა ბესელიას პირადი ცხოვრების კადრებზე დაიწყო ქილიკი, თავად კი ამტკიცებს, რომ მან ბესელიას კორუფციული საქმეები იგულისხმა.

ბესელიას სოლიდარობა გამოუცხადა ნაციონალურმა მოძრაობამ. ამის გამო ბესელია და ნაცმოძრაობა ზარდიაშვილმა საერთო პოლიტიკურ თამაშში დაადანაშაულა. დეპუტატი უფრო შორსაც წავიდა და თქვა, რომ ეჭვობს, პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები ინტერნეტსივრცეში სწორედ ამ პარტიამ ატვირთა. თავის მხრივ, ბესელია იხსენებს, როგორ მივიდა 2016 წელს ზარდიაშვილი მასთან და უთხრა, რომ სასამართლოს პატრონი ივანიშვილთან ერთად ისიც იქნებოდა, თუ მათთან იმეგობრებდა.

რა პასუხი აქვს ზარდიაშვილის ბრალდებებზე, რას ფიქრობს სასამართლოს თემის განვითარებულ მორიგ სკანდალზე და რა პოზიცია აქვს მორალური ტერაქტის მორიგ სერიაზე? – ამ და სხვა საინტერესო საკითხების შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი **გია ბარამიძე** საუბრობს.

***– ვანო ზარდიაშვილმა „რეაქციაში“ თქვა, რომ შესაძლებელია, ბესელიაზე პირადი ცხოვრების კადრები ნაცმოძრაობის მიერ იყოს ატვირთული და ბესელია ენმ-თან სინქრონულად საუბრობს. რა პასუხი გაქვთ?***

– ჩვენ ამ უტიფარი და უზნეო ადამიანებისგან ასეთი განცხადებები პირველად არ გვესმის. ეს არაკაცები და მოღალატეები უკვე 7 წელია, ხელისუფლებაში არიან და გაიხსენონ ეს კარგად. თუ ვინმე ასეთ მძიმე დანაშაულს ჩადის, მაშინ მათი მოვალეობაა, რომ ეს გამოიძიონ და დამნაშავე მკაცრად დასაჯონ.

***– ის რიტორიკა რას ნიშნავს, რომ როდესაც ვიღაც მიდის ხელისუფლებიდან და ემიჯნება „ოცნებას“, ცდილობენ, მისი ასოცირება მოახდინონ ნაცმოძრაობასთან? წლების განმავლობაში იყო ბესელია თქვენთან დაპირისპირებული და ახლა მას აკავშირებენ თქვენს პარტიასთან.***

– ეს არის ძალიან იაფფასიანი და მარტივი იდიოტიზმი, მეტი რა უნდა იყოს!

***– წინა წლებში ეს რიტორიკა, ასე თუ ისე, მუშაობდა, იმუშავებს მორიგ ჯერზე?***

– წინა წლებში ისეთ საშინელებებს იგონებდნენ, რომ ადამიანებს ეგონათ, რაღაცა მაინც შეიძლება მართალი იყოს და მეტ-ნაკლებად მუშაობდა. ახლა უკვე 7 წელი გავიდა ამათი რეჟიმის პარპაშიდან და ნაკლებად სჯერა ვინმეს. შესაძლოა, ვიღაცაზე იმუშაოს, მაგრამ ძირითადად მათზე იმუშავებს ნეგატიურად, იმიტომ, რომ ხალხი აღარ ტყუვდება.

***– საკმაოდ მძიმე ამბები ვნახეთ პარლამენტში. თქვენმა საპარლამენტო ფრაქციამ სოლიდარობა გამოუცხადა ბესელიას. თქვენ თუ ხართ სოლიდარული მის მიმართ?***

– ბუნებრივია. ვინც არ უნდა იყოს ადამიანი, არ აქვს მნიშვნელობა, ქალია თუ კაცია, ვისაც ასეთი მეთოდებით ებრძვიან, ვის მიმართაც იყენებენ ასეთ ქმედებებს, აშანტაჟებენ პირადი ცხოვრების კადრებით და ა.შ. ის არის მსხვერპლი და, ბუნებრივია, ვართ სოლიდარულები.

ყველამ კარგად იცის ჩვენი დამოკიდებულება ბესელიას მიმართ, მაგრამ წარსული პოლიტიკური დაპირისპირება უკანა პლანზე იწევს ამ შემთხვევაში, იმიტომ, რომ ადამიანური ფაქტორია და ეს არის ის საკითხი, რომ ყველამ გავაცნობიეროთ, ასეთი მეთოდებით, პირადი ცხოვრების კადრებით დაშანტაჟება უნდა იყოს ძალიან სერიოზულად დასჯადი, არ აქვს მნიშვნელობა, ვის მიმართ ხდება ეს.

***– ვანო ზარდიაშვილი ამტკიცებს, რომ მან ბესელიას კორუფციული საქმეები იგულისხმა მორალში და არა ეს. თქვენ სხვა განცდა გაგიჩნდათ და ფიქრობთ, რომ, საზოგადოების რეაქციიდან გამომდინარე, სხვა რამეზე გადაიტანა აქცენტი?***

– ვანო ზარდიაშვილი რატომ და რისთვის იქცევა ასე, ამაზე კომენტარს მე ნუ მომთხოვთ. მე შემიძლია მოგახსენოთ ჩემი პოზიცია, რაც ეხება ადამიანის პირადი ცხოვრების ამსახველი კადრებით შანტაჟს. საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა სწორედ ასე აღიქვა, რომ ეკა ბესელიას მიმართ სწორედ ეს შემოტევა იყო. ეს გრძელდება და აქედან არის ჩვენი რეაქცია, იმიტომ, რომ ჩვენთვის მნიშვნელობა არ აქვს, ეკა ბესელია იქნება ეს, გია ბარამიძე თუ ჭიჭიკო ბენდელიანი.

***– ოპოზიცია საუბრობთ ხელისუფლების შეცვლასა და კოალიციურ მთავრობაზე. ხედავთ, რომ ეს ხელისუფლება ამ კადრების გამომძიებელი არ არის. იქნება თუ არა თქვენი დაპირება ესეც, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ დადებთ ადეკვატურ შედეგს და ამ პროცესის მონაწილეები დაისჯებიან?***

– დიახ, ეს უნდა იყოს პოლიტიკური მიზანი. ოღონდ ეს პარტიამ ან მთავრობამ, რომელიც პარტიების წარმომადგენლებისგან შედგება, იმან კი არ უნდა გააკეთოს, არამედ უფრო შორს უნდა წავიდეთ. ჩვენ უნდა დავდოთ პირობა და არა მხოლოდ სიტყვიერად, არამედ რაღაცნაირად ამის მექანიზმიც უნდა ჩამოვაყალიბოთ.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „პრეზიდენტის ამოცანაა, როგორმე კარგად მივიდეს პენსიამდე“

## პაატა ზაქარეიშვილი: „მას რომ მართლა ფუნქციები ჰქონდეს, წარმოგიდგენიათ, რას დაატეხდა თავს ამ ქვეყანას?!“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.**

***– ბატონო პაატა, პრეზიდენტის გაეროში გამოსვლაზე რას იტყვით? კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს სალომე ზურაბიშვილი არა მხოლოდ ოპოზიციამ, უმრავლესობაც უკმაყოფილო დარჩა მისი გამოსვლით.***

– უკვე დიდი ხანია, პრეზიდენტისგან არაფერს კარგს ველოდები, ამიტომ არც გამკვირვებია. რას ელოდნენ?! გამიკვირდებოდა, კარგად რომ გამოსულიყო. პრინციპში, გამოვიდა ისე, როგორც ველოდი მე და ალბათ ყველა. ვისაც გაუკვირდა, რა გაუკვირდა, ვერ ვხვდები.

პრეზიდენტის ამოცანაა, როგორმე კარგად მივიდეს პენსიამდე. გაინაღდა საპენსიოდ კარგი თანამდებობა. ახლა მისთვის მთავარი ამოცანაა, არც მწვადი დაწვას და არც შამფური.

***– რომ არ გამოსდის?***

– დიახ, ნამდვილად ვერ ახერხებს. მწვადსაც წვავს და შამფურსაც. რადგან ევროპაში გაზრდილი პოლიტიკოსი იყო, მე მისგან მეტს ველოდი თავის დროზე. უკვე დიდი ხანია, მისგან კარგს აღარაფერს ველი. როგორც კი ასე ჩააფლავა და ტემპერატურა ასწია სასაზღვრო დაპირისპირებაში დავითგარეჯთან დაკავშირებით და მერე უტიფრად თქვა, კარგი ვქენი, რომ მივედი საზღვარზეო, მივხვდი, მისგან არაფერი გამოვა.

***– შეცდომას შეცდომაზე უშვებს?***

– აღარაფერს ვამბობ შეწყალების თემაზე, როცა მართლაცდა გამაოგნებელი შეცდომა დაუშვა და დღემდე არ ხსნის. იმის ნაცვლად, აეხსნა, თუ რატომ მოაწერა ხელი ორი თუ სამი მკვლელის შეწყალებას, მორატორიუმი გამოუცხადა და ათასობით ადამიანი დააყენა უპერსპექტივობის წინაშე!

ერთიმეორეზე მცდარ ნაბიჯებს დგამს. ჩემთვის ათასჯერ უფრო მნიშვნელოვანია შეწყალების ეპიზოდი, ვიდრე მისი გაეროში გამოსვლა. გაეროში რაც არ უნდა კარგად გამოსულიყო, აქედან არაფერი ახალი არ იქნებოდა. სააკაშვილი რომ ეფექტურად გამოდიოდა, შედეგები რა იყო?! არც არაფერი!

ასეთი საკითხები გვარდება კულუარულად. რომ განაცხადა, ჟენევის ფორმატი უნდა შეიცვალოსო, როგორ უნდა შეიცვალოს, რა ფორმით, ამაზე ხმა არ ამოუღია. ახსენა კონფლიქტის მხარეები და არ თქვა, ვინ არიან ეს მხარეები.

***– არაფრისმომცემია მისი განცხადებები?***

– სწორედ. ისეთი ტექსტი ჰქონდა, რომ ვერ გაიგებდი, რის თქმა უნდოდა. აშკარად შეგნებულად იჯდა, წერდა ისეთ ტექსტს, რომ მოდი, ისე ვთქვა, რომ არაფერი ვთქვა. აი, ეს იყო



მისი ამოცანა.

***– სერიოზული კრიტიკა იყო, რომ მან რუსეთს არ უწოდა ოკუპანტი გაეროს ტრიბუნიდან.***

– დიახ, შეგნებულად დაწერილი ტექსტი იყო. თქვა, მაგრამ არაფერი თქვა. ის გვეუბნება, მაცალეთ, ჩავამთავრებ პრეზიდენტობას და კარგად იყავით თქვენც და მეც კარგად ვიქნებიო. ვერ ირგებს პრეზიდენტობას და, თუ რამეს ამბობს, ამბობს არასწორს, არ შეესაბამება რეალობას, ხოლო თუ შეწყალებას აკეთებს, აკეთებს უბედურზე უბედურს.

***– გიორგი მარგველაშვილის მიმართ იყო კრიტიკა და ის კიდევ უფრო უარესი პრეზიდენტით შეცვალეს?***

– კი, ასეა. მე არც მარგველაშვილით ვიყავი აღტაცებული, მაგრამ მასთან ერთად მიმუშავია და უფრო კონსტრუქციული ნაბიჯები ჰქონდა. მარგველაშვილთან ერთად პატიმრები გავათავისუფლე ცხინვალისა და სოხუმის ციხეებიდან და ის ძალიან დამეხმარა.

მე ყოველთვის მომხრე ვიყავი პრეზიდენტობის ინსტიტუტის გაუქმების იმ ფორმით, როგორიც ადრე იყო და, მადლობა ღმერთს, სალომე ზურაბიშვილი ბოლო პრეზიდენტია საქართველოში პირდაპირ არჩეული.

ქვეყანა ამის შემდეგ გადავა სუფთა საპარლამენტო მმართველობაზე. კიდევ კარგი, მინიმალური ფუნქციები აქვს სალომე ზურაბიშვილს. მას რომ ფუნქციები არ შეჰკვეცოდა, წარმოგიდგენიათ, რას დაატეხდა თავს ამ ქვეყანას! მისგან არაფერი მიკვირს და არც კარგს ველოდები. ყოველთვის ცუდის მოლოდინში ვარ და თვალდახუჭული ველოდები, როდის წავა პოლიტიკიდან.



**შევიძენ**
**ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.**
**ტელ: 598-43-98-57**

2019, 28 — 29 სექტემბერი, №230

# ბიძინა გუჯაბიძე: „მამუკა ხაზარაძე არჩევნებში 2–3%–ზე მეტს ვერ აიღებს“

## „ეკა ბესელიას საზოგადოება გვერდით დაუდგა, როგორც ქალს“

მარიამ მჭედლიშვილი

აქტუალურ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატ ბიძინა გუჯაბიძეს.



***— პარლამენტში ეკა ბესელიასა და ვანო ზარდიაშვილს შორის მომხდარის შემდეგ საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა გამოხატა სოლიდარობა ეკა ბესელიასადმი. ეს, პირადად მის მიმართ გამოხატული თანაგრძნობის გარდა, „ქართული ოცნების“ გადაცდომების შედეგიც ხომ არ არის?***

— საქართველოს პარლამენტში ძალიან ცუდი ფაქტი მოხდა. პირადად მე იმ ადამიანების პოზიციას ვუერთდები, რომლებიც წუხან და განსაკუთრებულად არც ერთ მხარეს არ ემხრობიან. ეკა ბესელიას საზოგადოება გვერდით დაუდგა, როგორც ქალს. მის მიმართ სოლიდარობა ამით აიხსნება. რა თქმა უნდა, ვანო ზარდიაშვილმა იკადრა ის, რაც მიუღებელია პარლამენტარიზმისათვის. მან კოლეგას მორალი წამოაძახა. მან უნდა იცოდეს, რომ კორექტულობა მოეთხოვება.

არც ის მგონია მართებული, რომ ზარდიაშვილს ან სხვას მუდმივად წარსულს უხსენებენ. სააკაშვილის დროს იყვნენ ჯალათები, მწამებლები, ზონდერები, რომლებსაც პასუხი უნდა მოეთხოვოთ. მათ გარდა, სხვადასხვა რგოლში მუშაობდა უამრავი ადამიანი. თუ საზოგადოებაში თანხმობა გვინდა, ის ადამიანები, რომლებსაც პირადად დანაშაული არ ჩაუდენიათ, უნდა მივიღოთ. ასეთებს უნდა ვაპატიოთ.

***— ეს ინციდენტი მოსამართლეების კანდიდატურების განხილვას მოჰყვა. ის, რომ „ქართული ოცნება“ ლობირებს სახელგატეხილი მოსამართლეების უვადოდ გამწესებას, შეცდომა არ არის?***

— კონკრეტულ მოსამართლეებზე არ ვისაუბრებ. მთავარია, რომ პარლამენტში განხილვები ღიად მიმდინარეობს და საზოგადოებისაგან დაფარულად არაფერი ხდება. დაველოდოთ მოვლენებს, ვნახოთ, რას იზამს პარლამენტი. ამაზე სრული კომენტარი ამის შემდეგ შეიძლება გაკეთდეს.

***— სადავო შეწყალებაზე რის თქმა შეიძლება?***

— შეწყალება პრეზიდენტის დისკრეციული უფლებაა, მაგრამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია მკვლელების შეწყალებამ. ზოგიერთ მათგანს ადვოკატები ამართლებენ და ამბობენ, რომ დანაშაული განზრახ (ან საერთოდ) არ ჩაუდენიათ. ამ შემთხვევაში შეწყალება სწორი არ არის. ჩაიდინა თუ არა ადამიანმა დანაშაული, სწორია თუ არა მის მიმართ გამოტანილი განაჩენი, ეს ისევ სასამართლოს გასარკვევია. ამის დადგენას სხვა სასამართლო პროცესი სჭირდება.

პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი შეწყალება ვერ იქნება სასამართლოს ვერდიქტის შემცვლელი და კომპენსაცია პირისთვის, რომელიც თავს დამნაშავედ არ მიიჩნევს. უცნაურია, რომ მოსამართლეებზე ბევრს ყვირიან იმ პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები, რომლებიც სააკაშვილის დროს ხელისუფლებაში იყვნენ. ცოტა უხერხულია, რომ ისინი ამუნათებენ სალომე ზურაბიშვილს მაშინ, როცა სააკაშვილი მკვლელებს იწყალებდა. ახლაც იყო შეცდომები, მაგრამ ამაზე ნაციონალურმა მოძრაობამ არ უნდა იყვიროს.

***— შეწყალების, მართლმსაჯულების პრობლემებს ემატება სხვა პრობლემები, მაგალითად, ლარის კურსის კიდევ უფრო დაცემა. ეს ყველაფერი არყევს „ქართული ოცნების“ რეიტინგს.***

— ეს მოვლენები არყევს ხელისუფლების რეიტინგს, მაგრამ ხელისუფლებას აქვს სიტუაციის გამოსწორების შანსი. პარლამენტის არჩევნებამდე დიდი პერიოდია.

***— დიდი პერიოდია, პარტიები კი უკვე იმას არკვევენ, ვინ ვის გაუერთიანდება მომავალ კოალიციაში. ამ მხრივ ყურადღების ცენტრში არიან ნაციონალური მოძრაობა და „ევროპული საქართველო“.***

— იმედი მაქვს, მომავალში, როცა საქმე კოალიციამდე მივა, „ქართულ ოცნებას“ ამ პარტიების კოალიციაში გაერთიანება არ დასჭირდება. დარწმუნებული ვარ, ისინი ვერ მოვლენ ხელისუფლებაში. ნაციონალები და „ევროპული საქართველო“ ჩემთვის ერთი და იგივეა. ამ „ევრონაცებმა“ ოდნავ სახე იცვალეს და ნაციონალებს გამოეყვნენ. მათ შორის განსხვავება არ არსებობს. ღმერთმა დაიფაროს საქართველო მათი ხელისუფლებაში დაბრუნებისაგან. თუ ეს მოხდა, ისინი ისეთივე ჯალათები გახდებიან, როგორებიც იყვნენ.



***— ბიზნესმენმა მამუკა ხაზარაძემ, რომელიც პარტიას ქმნის, „რეაქციაში“ განაცხადა, რომ პოლიტიკოსების ავტორიტეტი დაეცა.***

— ზოგიერთი პოლიტიკოსის ავტორიტეტი მართლაც დაეცა, მაგრამ ამის თქმა არ შეიძლება მთელ პოლიტიკურ სპექტრზე. გამოდის, რომ ხაზარაძე განაწყენებული პოზიციიდან შემოდის პოლიტიკაში. იმისათვის, რომ პოლიტიკაში ადგილი დაიმკვიდრო, გარკვეულ პროცესებში უნდა მონაწილეობდე. მამუკა ხაზარაძე დაკავებული იყო თავისი ბიზნესით, საბანკო საქმიანობით, ფულის შოვნითა და ხარჯვით. საზოგადოება მას ამ საქმიანობისთვისაც აკრიტიკებს. პოლიტიკისა მას არაფერი ესმის, ისევე, როგორც ადამიანებს, რომლებსაც ის იზიდავს.

***— არ გჯერათ, რომ ის წარმატებული იქნება?***

— პაატა ბურჭულაძეც შემოვიდა პოლიტიკაში, მაგრამ ჩაფლავდა. მამუკა ხაზარაძე არჩევნებში ორ-სამ პროცენტზე მეტს ვერ აიღებს.

***— ბიზნესმენების პოლიტიკოსობას მივეჩვიეთ. ბუნებრივი საარჩევნო ბარიერი სხვა კატეგორიის ხალხსაც მოიზიდავს? შესაძლებელია, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები ექსტრავაგანტური ნაბიჯებით გამორჩეული გახდეს?***

— შესაძლებელია. ბიზნესმენების გარდა, შეიძლება, არაპოლიტიკოსებსა და არაბიზნესმენებსაც მოუნდეთ პოლიტიკოსობა. პოლიტიკაში ადგილის დამკვიდრება იოლი არ არის.

ამ მხრივ გამონაკლისია ბიძინა ივანიშვილი. მას ყველაფერი წინასწარ ჰქონდა გათვლილი, რამაც 2012 წელს შეცვალა ხელისუფლება. სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს, რომლებმაც დიდი ფული იშოვეს, ხანდახან უჩნდებათ ილუზიები. ისინი მზად არიან, დახარჯონ თანხები პოლიტიკაში მოსასვლელად.

მათი ძალისხმევა ფუჭია. ჯობია, ასეთმა ადამიანებმა თავიანთი ფინანსები იმ ხალხს დაახარჯონ, ვისაც ეს უკიდურესად ესაჭიროება. გაჭირვებული ადამიანების მეტი რა არის ქვეყანაში!

# გია ბარამიძე: „ბესელია „ოცნების“ ხერხემალი იყო და მისი მხილებები ამიტომაა ფასეული“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ჩვენ უნდა გადავაქციოთ პროკურატურა და საგამოძიებო ორგანოები დამოუკიდებელ ორგანოებად. ამის ერთ-ერთი და არა ერთადერთი ნაბიჯი იქნება ის, რომ ახალი გენერალური პროკურორი არჩეული უნდა იყოს არა უმრავლესობის მიერ წამოყენებული კანდიდატურებიდან, არამედ არასამთავრობო ორგანიზაციებიდან და შესაძლოა ოპოზიციის მიერ წამოყენებულ კანდიდატურათა შორის უნდა იყოს არჩეული პარლამენტის მიერ.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ეს სისტემა იყოს პარტიებისგან დამოუკიდებელი და პარლამენტი მას უნდა აკონტროლებდეს ბევრად უფრო გამჭვირვალე წესით.

ასევე სასამართლოსთან მიმართებით ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამოვიდეთ ამ მოჯადოებული წრიდან. ყველას შეცდომა უნდა გავითვალისწინოთ, მათ შორის ჩვენი ხელისუფლებისაც და უნდა შევქმნათ ნორმალური სასამართლო, რომელიც ეკადრება ცივილიზებულ დემოკრატიულ ქვეყანას.

მაგალითად, სააკაშვილი საუბრობდა იმაზე, რომ საქართველოში მოვიწვიოთ ავტორიტეტული, გამოცდილი, სახელის მქონე, პატიოსანი, პენსიაზე გასული, მაგრამ ქმედუნარიანი მოსამართლეები ისეთი ქვეყნებიდან, როგორიც არის აშშ, საფრანგეთი, ბრიტანეთი და ა.შ. წინ წასული დემოკრატიების ქვეყნებიდან უნდა მოვიწვიოთ მოსამართლეები, რომლებიც გამორჩეული არიან თავისი პატიოსნებითა და კომპეტენციით. ისინი უნდა შეადგენდნენ დროებით უზენაესი სასამართლოს შემადგენლობას.

ასევე, მათ მიერ განხილული საქმეებიდან თუ ორჯერ ჩაითვალა საქმე არასწორად წარმოებულად ქვედა ინსტანციის მოსამართლის მიერ, მაშინ ის მოსამართლე დაუყოვნებლივ უნდა იყოს გათავისუფლებული სასამართლოდან კანონის ძალით. თუ ასეთი რადიკალური ზომები არ მივიღეთ დროულად, მაშინ ვერ შევძლებთ ამ მთავარი პრობლემის მოგვარებას და მოჯადოებული წრის გარღვევას, როდესაც ყველა ხელისუფლება გამოდის და პოლიტიკურ დაპირებებს იძლევა, მაგრამ საბოლოოდ საქმე პოლიტიკამდე მიდის და საზოგადოებას რჩება შთაბეჭდილება პოლიტიკური ვენდეტისა და ანგარიშსწორებისა.

ამ რეჟიმის პირობებში არა მხოლოდ შთაბეჭდილებაა ასეთი, არამედ ფაქტებია. აი, ეს უნდა იყოს გამორიცხული მომავალში.

ადამიანის დანაშაული ობიექტური გამოძიებისა და სასამართლოს გზით უნდა დადგინდეს, ვინც არ უნდა იყოს ეს, იქნება ბიძინა ივანიშვილი, გიორგი გახარია თუ ვიღაცა, ვინც ეს კადრები გაასაჯაროვა, ან ის, ვინც თავის დროზე ეს კადრები გადაიღო. ეჭვი მაქვს, ვინც ეს გადაიღო, ისინი დღეს ამ რეჟიმს ემსახურებიან.

***— ანუ ისინიც გადმოიბარა „ოცნებამ“? ამაზე საუბრობთ?***

— აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ.

კიდევ ერთხელ ვამბობ, ჩვენ რა დამოკიდებულება გვაქვს ამ ადამიანებთან მიმართებით, ეს არ უნდა იყოს განმსაზღვრელი. ისეთი სისტემა უნდა შევქმნათ, რომელიც პოლიტიკურ სიმპათია-ანტიპათიაზე დამყარებული არ იქნება.

***— ანუ საუბრობთ იმაზე, რომ შურისძიების პოლიტიკა იყოს გამორიცხული?***

— არც შურისძიების პოლიტიკა უნდა იყოს და არც ხელის დაფარების პოლიტიკა. ის უნდა იყოს აბსოლუტურად ნეიტრალური. ცოტა სხვანაირი შედარებაა, მაგრამ, როგორც ჩვენ მოვახერხეთ ის, რომ უნივერსიტეტში ჩაბარების დროს სტანდარტი დაწესდა და ნდობა დაბრუნდა გამოცდების მიმართ, ისე უნდა იყოს ამ შემთხვევაშიც. ბოლო წლებში ეროვნულ გამოცდებში ხელოვნურად ჩაჭრაზე ან გაყვანაზე არაფერი მსმენია და ასეთი ნდობა უნდა იყოს სასამართლოსადმიც.

***— ეკა ბესელიამ გაიხსენა, როგორ მივიდა 2016 წელს ვანო ზარდიაშვილი მასთან კაბინეტში და უთხრა, რომ სასამართლოს ეყოლება 2 პატრონი, ივანიშვილი და ბესელია. ეს ფაქტი, რომელსაც ბესელია იხსენებს, ნორმალურ ქვეყანაში უნდა გახდეს თუ არა გამოძიების საფუძველი?***

— კი, ამაში კრიმინალური და საშინელი აზრია, მაგრამ ალბათ ამისთვის სისხლისსამართლებრივად არავინ დაისჯება, თუმცა ეს არის იმის გამომხატველი და აჩვენებს იმას, რასაც აკეთებს ბიძინა ივანიშვილი. ალბათ გასაკვირი ამაში არაფერია, რადგან ვიცით, რასაც აკეთებს ივანიშვილი.

ცხადია, რომ მაშინ ეკა ბესელია ამ რეჟიმის ერთ-ერთი დასაყრდენი და ხერხემალი იყო სწორედ იმ მიმართულებით, რომელსაც იურიდიული საკითხები და სასამართლო რეფორმა, უფრო სწორად, არარეფორმირებულობა და ივანიშვილისთვის მისი ჯიბეში ჩადება ჰქვია.

ეს გათავისუფლებები, ამნისტიები და ა.შ. თუ რამეს აკეთებდა „ოცნება“, ეკა ბესელია იყო პარლამენტში მისი ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, თუ მთავარი არა. ამიტომ არ გამკვირვებია, რომ ვანო ზარდიაშვილს ეს ეთქვა ეკა ბესელიასთვის, მაგრამ ის, რომ ბესელიამ ეს აღიარა, გამიკვირდა.

***— თუმცა ამბობს, ჩემი კაბინეტი დავატოვებინეო.***

— თვითონ არ იცოდა, რომ ივანიშვილი ამას აკეთებს? მან ძალიან კარგად იცოდა, ივანიშვილი რასაც აკეთებდა. უბრალოდ, ამ თვალსაზრისით ეს განცხადება ღირებული იმით არის, რომ ამას ჩვენ კი არ ვამბობთ, რომელსაც საზოგადოება აღიქვამს, როგორც პოლიტიკური ინტერესით გამოწვეულ განცხადებას, არამედ ამას ამბობს სწორედ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, სულისჩამდგმელი და ხერხემალი. ამას რომ ამბობს ეს ადამიანი, ეს ამით არის საინტერესო.

საინტერესოა ისიც, როდესაც ხაზარაძე ამბობს, როგორ აიძულეს ვალების ჩამოწერის ამბავი. ეს არ არის მხოლოდ ვალების ჩამოწერის ამბავი. ეს თავისთავად ნიშნავს, როგორი დარტყმა მიაყენეს საქართველოს ეკონომიკას, იმიტომ, რომ დარტყმა მიაყენეს საბანკო სექტორის ლიკვიდურობას. ეს ყველაფერი ხომ ერთმანეთზეა გადაბმული და მერე ვიღას უნდა გაუკვირდეს, რატომ არის ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაში, ლარი რატომ არის გაქცეული და ა.შ. მერე ვიღაცა კიდევ იტყვის, როგორ თავისუფლად სუნთქავს ბიზნესი და ა.შ.

ასეთი ადამიანები, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ გამოდიოდნენ, მჯიღს ირტყამდნენ მკერდში და 48-ს თუ 41-ს ყვიროდნენ, ახლა თვითონ რომ ამხელენ ამას შიგნიდან, იმდენად არის ეს ფასეული, თორემ ნაციონალური მოძრაობა ბიძინა ივანიშვილის მავნებლობაზე დიდი ხანია საუბრობს და ჩვენთვის ახალი არ არის.

კარგია, რომ საზოგადოება უკვე სხვისგანაც იგებს ამას, კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობითა და შიგნიდან გამოსულ ინფორმაციას ვეცნობით.

# ბერლინში ზელიმხან ხანგოშვილის მკვლელობა დაგეგმილი ოპერაცია იყო

## რას წერს გერმანული მედია

გერმანიის დედაქალაქში საქართველოს მოქალაქე ზელიმხან ხანგოშვილის მკვლელობას კრიმინალური სარჩული არ გააჩნია. ის დაგეგმილი ოპერაცია იყო.

დოიჩე ველეს ინფორმაციით, ამის შესახებ საუბარია ბელინგკატის, ინსაიდერის, დოსიე ცენტრისა და შპიგელ ონლაინის ერთობლივად ჩატარებულ გამოძიებაში, რომელიც 27 სექტემბერს გამოქვეყნდა.

როგორც გამოძიების მონაწილეები ამტკიცებენ, მათ მოიპოვეს მტკიცებულება, რომ ეჭვმიტანილი ვადიმ სოკოლოვი ბერლინში სხვისი სახელითა და გვარით გაემგზავრა რუსეთის სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერით.



გამოძიების ავტორები აღნიშნავენ, რომ სავარაუდო დამნაშავის პიროვნება ჯერ კიდევ დგინდება. გარდა ამისა, შპიგელის პუბლიკაციაში მოყვანილია 49 წლის ვადიმ სოკოლოვის ანკეტის ფოტოასლი, რომლის მიხედვითაც მან 2019 წლის ივლისში მიიღო რუსეთის ინდივიდუალური გადასახადის გადამხდელის ნომერი.

გერმანული გამოცემა ასევე მიუთითებს, რომ მისამართზე, სადაც სოკოლოვი ცხოვრობდა, ასეთი სახელითა და გვარით ადამიანს არ იცნობენ.

გარდა ამისა, გამოძიების ავტორები ამტკიცებენ, რომ სოკოლოვის სამსახურის ტელეფონი სრულიად ემთხვევა იმ კომპანიის ტელეფონის ნომერს, რომელიც რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მფლობელობაშია.

მოხსენებაში უარყოფილია ჰიპოთეზა, რომ სოკოლოვი და პოლიციის ყოფილი მაიორი ვლადიმერ სტეპანოვი, რომელიც რუსეთში 24-წლიან სასჯელს იხდიდა, ერთი და იგივე პიროვნებაა, როგორც ეს მანამდე ივარაუდებოდა.

— წყარო ადასტურებს, რომ 2019 წლის სექტემბრის შუა პერიოდის მონაცემებით, სტეპანოვი ჯერ კიდევ იხდიდა სასჯელს, — წერენ ავტორები.

მათი მონაცემებით, დანაშაულში ეჭვმიტანილი მოსკოვიდან ჯერ პარიზში გაემგზავრა, შემდეგ – ვარშავაში, სადაც ხუთი დღის განმავლობაში სასტუმროში ცხოვრობდა.

ამ დროის განმავლობაში ის ბერლინში იმყოფებოდა, რაც მიუთითებს მის განზრახვაზე, დაბრუნებულიყო ვარშავაში ბერლინის ოპერაციის შემდეგ.

ზელიმხან ხანგოშვილი 23 აგვისტოს ბერლინში მოკლეს.

# გურჯაანთან ლევან ჯანიაშვილი დაიღუპა

## მანქანა ჭაობში გადავარდა

აფენი-გურჯაანის გზაზე მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას 1985 წელს დაბადებული კაცი ემსხვერპლა.



მსუბუქი ავტომანქანა, რომელსაც სოფელ ვეჯინში გამგებლის ყოფილი წარმომადგენელი ლევან ჯანიაშვილი მართავდა, სავალი ნაწილიდან გადავიდა და ჭაობში გადავარდა.

ლევან ჯანიაშვილი შემთხვევის დროს ავტომანქანიდან გადმოვარდა და მას მანქანა ზედ დაეცა.

გამოძიება 236-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

# „ოთარ ფარცხალაძე ჩემი მეგობარია, თუმცა პროკურატურაში მისი რეკომენდაციით არ მისულვარ“

## მამუკა ვასაძე: „მერაბიშვილის საკნიდან გაყვანის საქმეზე დანაშაულის ნიშნები ვერ დადგინდა“

27 სექტემბერს პარლამენტში უზენაესი სასამართლოს წევრობის ერთ-ერთ კანდიდატს, გენერალური პროკურორის პირველ მოადგილე მამუკა ვასაძეს მოუსმინეს.

დეპუტატი „ევროპული საქართველოდან“ ოთარ კახიძე ვანო მერაბიშვილის საკნიდან გაყვანის საქმით დაინტერესდა.

– როდესაც 2014 წლის იანვარში საგამოძიებო სამსახურის უფროსად დაინიშნეთ, რატომ არ დაიწყეთ გამოძიება ვანო მერაბიშვილის სკანდალურ განცხადებაზე, რომ ის საკნიდან გაიყვანეს და ზეწოლა განახორციელეს მასზე ოთარ ფარცხალაძემ და დიმიტრი დარბაისელმა?

ამაზე ვასაძემ უპასუხა, რომ არ ახსენდება საგამოძიებო ნაწილში კონკრეტული კორესპონდენციის შესვლა.

ამის შემდეგ ოთარ კახიძემ განაცხადა, რომ რომც არ ყოფილიყო ოფიციალური კორესპონდენცია, მოწოდება იყო პირდაპირ საგამოძიებო ნაწილის მისამართით სახალხო დამცველის, მაშინდელი პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის, არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან, რომ დაწყებულიყო გამოძიება.

– ახლა არსებობს რაღაც ვარაუდი და ეჭვი, რომ თქვენი მეგობარი და კოლეგა იყო ამ დანაშაულში გარეული და არ დაიწყეთ გამოძიება. რამე სხვა მიზეზი ხომ არ გაქვთ, რატომაც გამოძიება არ დაიწყეთ? – ჰკითხა კახიძემ ვასაძეს, რაზეც ვასაძემ უპასუხა, რომ მას სხვა მიზეზი არ აქვს.

– როგორც კი ცნობილი გახდა საგამოძიებო დანაყოფისთვის ამის შესახებ, გამოძიება დაიწყო და გამოძიებულ იქნა, – უპასუხა ვასაძემ.

ამის შემდეგ კახიძემ ევროსასამართლოს გადაწყვეტილება გაიხსენა ვანო მერაბიშვილის საქმესთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ 2016 წლის ივნისის გადაწყვეტილებით, 8 მოსამართლისგან შემდგარმა სექციამ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დაადგინა, რომ ამ დანაშაულს ადგილი ჰქონდა, რაზეც თავიდან დაიწყო გამოძიება პროკურატურამ.



ამაზე ვასაძემ აღნიშნა, რომ ამ სისხლის სამართლის საქმეზე შესწავლილ იქნა ყველა მტკიცებულება, რაც კი შეიძლება თეორიაში შესაძლებელი ყოფილიყო და პრაქტიკაშიც შესაძლებელი იყო მისი მოპოვება.

– გამოიკითხა შემხებლობაში მყოფი ყველა პირი. შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიიღეს, რომ ხსენებულ საქმეზე დანაშაულის ნიშნები ვერ დადგინდა. როდის მივიღეთ ეს გადაწყვეტილება, თარიღის გახსენება არ შემიძლია, – განაცხადა მამუკა ვასაძემ.

ამის შემდეგ ოთარ კახიძემ ასეთი რამ თქვა:

– სასამართლო დიდი პალატის გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ თქვენ არ ამოიღეთ შესაბამისი ვიდეოჩანაწერები და სასამართლოს განუცხადეთ, რომ წაშლილი იყო ეს ჩანაწერები, მტკიცებულება პრაქტიკულად განადგურდა, ამბობს სასამართლო.

გამოძიების ფარგლებში ოთარ ფარცხალაძისთვის პასუხისმგებლობის ასარიდებლად თქვენ რაიმე შემხებლობა გქონდათ ამ კადრების განადგურებასთან?

მამუკა ვასაძემ კითხვას ასე უპასუხა:

– მქონდა თუ არა კადრების განადგურებასთან და დანაშაულთან რაიმე შემხებლობა, ეს სცდება კორექტულობის ნაწილს. ყველა ვიდეომტკიცებულება, რომლებიც შეიძლებოდა ამოღებულიყო, ამოღებულია ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც გენერალური ინსპექცია იკვლევდა ამ საკითხსა და ამ ქმედებას.

გადაადგილების მარშრუტის ჩანაწერებს რაც შეეხება, ეს ვიდეოჩანაწერები არ არის განუსაზღვრელი ვადით და მუდმივად, რაღაც კონკრეტული ვადები აქვს. ჩანაწერები, რაც სისხლის სამართლის საქმეში მოიპოვება იმ გადაადგილების ტრაექტორიაში, რაც განმცხადებელმა განაცხადა, ამოღებულია და ექსპერტიზაც ჩატარებულია. თუმცა, ვერ იქნა საეჭვო გარემოება გამოვლენილი და ვერ დადგინდა განცხადების მართებულობა, რასაც განმცხადებელი აცხადებდა.

გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ ისიც აღნიშნა, რომ პროცესში ამოცნობის მოქმედება არ ჩატარდა იმის გამო, რომ მერაბიშვილი ამომცნობი პირის კონკრეტულ ნიშნებს ვერ მიუთითებდა.

ამას კახიძე არ დაეთანხმა და აღნიშნა, რომ მას შეეძლო ფარცხალაძის ამოცნობა, თუმცა ეს მოქმედება არ ჩატარებულა და ვასაძეს საზოგადოება შეცდომაში შეჰყავს.

– გარდა იმისა, რომ შეიძლება ხელის დაფარებას ჰქონდეს ადგილი, კითხვები არსებობს იმასთან დაკავშირებითაც, გამოძიება რამდენად ხარისხიანად აწარმოეთ.

გარდა ამისა, თქვენ იმ მტკიცებულებით, რომელიც სასამართლოს წარუდგინეთ, დაადასტურეთ, რომ პენიტენციარულ დაწესებულებასა და ადგილს შორის, სადაც ოთარ ფარცხალაძე იმყოფებოდა მანძილი რამდენიმე ასეული მეტრი იყო, – განაცხადა კახიძემ და დასძინა, რომ ევროსასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით ვანო მერაბიშვილი დაზარალებულად დღემდე არ არის ცნობილი.

– გამოძიებას სხვა მტკიცებულებების მოპოვების მიზნით აწარმოებს სხვა დანაყოფი. შესაბამისად, რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული, ამის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია. რაც შეეხება თქვენს მიერ ჩამოთვლილ მტკიცებულებებს, მე ამის ჩამოთვლა ფიზიკურად არ შემიძლია, – განაცხადა მამუკა ვასაძემ.

მისი თქმით, ყოფილ გენერალურ პროკურორთან, ოთარ ფარცხალაძესთან, მეგობრული ურთიერთობა აქვს, თუმცა, მისი რეკომენდაციით პროკურატურაში არ მისულა.

– მაქვს მეგობრული ურთიერთობა, ვიცნობ 2010 თუ 2011 წლიდან, მაშინ, როცა მე ვიყავი საგამოძიებო სამსახურის განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეთა სამმართველოს უფროსი, ოთარ ფარცხალაძეც იყო ერთ-ერთი სამსახურის უფროსი და გვქონდა მეგობრული ურთიერთობა.

მთავარ პროკურატურაში მივედი მას შემდეგ, რაც ბატონი ოთარ ფარცხალაძე არ იყო მთავარი პროკურორი. მას რეკომენდაცია ჩემთვის არ გაუწევია, თუმცა, მე მივედი მაშინ, როცა მთავარი პროკურორი გიორგი ბადაშვილი იყო.

ის ერთ-ერთი მთავარი რეკომენდატორია ჩემი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატობაზე. ასევე პირველი მოადგილე იყო ირაკლი შოთაძე. შესაბამისად, მათი რეკომენდაციით ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის თანამდებობიდან გადავედი მთავარ პროკურატურაში საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსად. ეს იყო, თუ არ ვცდები, 2014 წლის იანვარში, – განაცხადა მამუკა ვასაძემ.

# ზემო ფონიჭალაში მანქანა კლდიდან გადავარდა

## დაშავებულია 1 ქალი




ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა ზემო ფონიჭალაში. თვითმხილველთა ინფორმაციით, ავტომობილი კლდიდან გადავარდა.

ადგილობრივები აცხადებენ, რომ მძღოლმა მობრუნების დროს საჭე ვერ დაიმორჩილა, რის გამოც ის სიმაღლიდან გადავარდა.

შემთხვევის შედეგად ავტომობილში მყოფი ახალგაზრდა ქალი მსუბუქად დაშავდა. ის სახლში მკურნალობს.

მომხდარზე გამოძიება პოლიციამ 276-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესების დარღვევას გულისხმობს.

# ნანა კაკაბაძე: „მსჯავრდებულები სალომე ზურაბიშვილს უჩივლებენ“



მსჯავრდებულები საქართველოს პრეზიდენტს უჩივიან.

ასეთი განცხადება 27 სექტემბერს უფლებადამცველმა ნანა კაკაბაძემ გააკეთა.

კაკაბაძის თქმით, პატიმრები, რომლებიც შეწყალებას ელოდებოდნენ, მორატორიუმის გამოცხადების შემდეგ შეწყალების აქტით ველარ ისარგებლებენ.

– მე თავად დავეხმარები მსჯავრდებულებს და მათთან ერთად მოვამზადებ კონსტიტუციური უფლებების დარღვევის ფაქტზე სარჩელს. პრეზიდენტის გადაწყვეტილებას არ ჰქონდა იურიდიული საფუძველი და ეს იყო პოლიტიკური განაცხადი, – აღნიშნა ნანა კაკაბაძემ.

სალომე ზურაბიშვილმა მსჯავრდებულების შეწყალებაზე მორატორიუმი მას შემდეგ გამოაცხადა, რაც შეწყალებულ პატიმართა შორის მოხვდნენ ნარკორეალიზატორები და მკვლელები, რასაც სკანდალი და საზოგადოების აღშფოთება მოჰყვა.

# პროკურატურაში დიმიტრი გაბუნიას საადვოკატო ბიუროს პარტნიორები დაიბარეს

27 სექტემბერს გენერალურ პროკურატურაში შეწყალების საქმეზე პრეზიდენტის ადმინისტრაციის 5 თანამშრომელი გამოიკითხა.

ისინი გამოკითხვაზე პრეზიდენტის მიერ 28 აგვისტოს გამოცემული შეწყალების აქტზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში დაიბარეს.

უფრო კონკრეტულად, პროკურატურაში დაბარებულები იყვნენ პრეზიდენტის ადმინისტრაციის შემდეგი თანამშრომლები: დავით კაშია, ნინო კალანდაძე, ნინო შარშიძე, დიანა ტაბატაძე-რეხვიაშვილი, ზინაიდა ვერულაშვილი.

გამოკითხვა დაახლოებით სამსაათ-ნახევრის განმავლობაში მიმდინარეობდა.

გამოკითხვის დასრულების შემდეგ მათ მედიის კითხვებს არ უპასუხეს.

28 სექტემბერს გენერალურ პროკურატურაში პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის, დიმიტრი გაბუნიას, საადვოკატო ბიუროს პარტნიორებს გამოკითხავენ.

უწყებაში გიორგი ტალახაძე, გიორგი მიროტაძე და ლაშა ხურცილავა 13:00 საათზე არიან დაბარებული.

შეგახსენებთ, პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა მარიამობის დღესასწაულთან დაკავშირებით გამოცემული შეწყალების აქტით, მკვლელობისთვის მსჯავრდებული რამდენიმე პირი შეიწყალა, მათ შორის 22 წლის პოლიციელის, თარაშ მუკბანიანის, გიორგი ოთხმეზურისშვილის, დავით ოთხმეზურისა და სოსო ქოიავას მკვლელობისთვის მსჯავრდებული პირები.

სკანდალური შეწყალების შემდეგ პროკურატურამ მსჯავრდებულების: რამაზ დევაძის, ასლან ბეჟანიძის, ზურაბ ნადირაძის და სხვა პირთა შეწყალების პროცესში სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო ბოროტად გამოყენების ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

შეწყალების საქმეზე უკვე გამოიკითხნენ პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი დიმიტრი გაბუნია და პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ანგი ხუციშვილი.

# პატიმარმა ფეხი პოლიციის მანქანის მძღოლს გაარტყა

## მანქანა სამარშრუტოს შეეჯახა და ამოტრიალდა

წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიაში პოლიციის მანქანა, რომლითაც დაკავებული სოფლიდან წალენჯიხაში გადაჰყავდათ, სამარშრუტო ტაქსს შეეჯახა.

„ლაივპრესის“ ინფორმაციით, სოფელში, ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში გაჩენილი ხანძრის ჩაქრობაში მეხანძრეებს მამაკაცმა შეუშალა ხელი. ის არ დაემორჩილა სამართალდამცველთა გაფრთხილებას, მათ შეურაცხყოფა მიაყენა, რის გამოც დააკავეს და განყოფილებაში გადაჰყავდათ.

„ოდიშინიუსის“ ინფორმაციით, შემთხვევის შედეგად რამდენიმე ადამიანი მძიმედ დაშავდა.

შემთხვევა, სავარაუდოდ, პატიმრის ქმედებამ გამოიწვია, რომელიც მანქანაში კიდურებს იქნევდა. მისი მოქნეული ფეხი კი მანქანის სალონში მძღოლს მოხვდა, რომელმაც საჭე ველარ დაიმორჩილა და სამარშრუტო ტაქსს შეეჯახა.

შეჯახება საკმაოდ ძლიერი იყო. დაშავებულთა შორის ყველაზე მძიმე მდგომარეობაში პატიმარი და მძღოლი არიან.

ფაქტზე გამოძიება სსკ 353-ე მუხლით დაიწყო, რაც პოლიციელების წინააღმდეგ მუქარას, ძალადობას ან წინააღმდეგობის გაწევას გულისხმობს.

# „ცეცხლი მთელ ფალიაშვილს ანათებდა“

## ვაკეში ერთმანეთს 2 მანქანა შეეჯახა



ხანძრით დასრულდა ავტოსაგზაო შემთხვევა თბილისის ცენტრში. ვაკეში, ფალიაშვილის ქუჩაზე, 2 ავტომანქანა ერთმანეთს შეეჯახა, რის შედეგადაც მანქანებს ცეცხლი გაუჩნდა.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

თვითმხილველების თქმით, ერთ-ერთი მანქანის მძღოლი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ადგილზე მობილიზებული იყო სახანძრო და საპატრულო მანქანები. მომხდარ ფაქტზე დაწყებულია გამოძიება.

– ძალიან დიდი ცეცხლი იყო, ისეთი, რომ მთელ ფალიაშვილს ანათებდა. სასწრაფო გვიან მოვიდა. ორი მანქანა დაიწვაო, თქვეს, – განაცხადა თვითმხილველმა ნუნუ ცინცაძემ.

# „გავრილოვის ღამის“ მონაწილე სპეცრაზმელი გირაოთი გაათავისუფლეს

„გავრილოვის ღამის“ მონაწილე სპეცრაზმელი ლევან იმერლიშვილი სასამართლომ 10.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.

დაცვის მხარემ სხდომაზე აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შუამდგომლობა დააყენა, მიზეზად კი ლევან იმერლიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა დაასახელა.

ლევან იმერლიშვილს ბრალად სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ედება.

# თუშეთში ველოსიპედისტი ხევში გადავარდა და დაიღუპა

27 სექტემბერს ფშაველი-აბანო-ომალოს 22-ე კმ-ზე უბედური შემთხვევა მოხდა.

ტურისტთა შვიდკაციანი ველოსიპედისტთა ჯგუფიდან ერთ-ერთი პირი ხევში გადავარდა და ადგილზე გარდაიცვალა.

მომხდარზე შს სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა განცხადება გაავრცელა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში გადაუდებელი დახმარების ოპერატიულ მართვის ცენტრ „112“-დან შემოვიდა შეტყობინება, რომ კახეთში, ფშაველი-აბანო-ომალოს საავტომობილო გზის მონაკვეთზე, ტურისტთა ჯგუფს დახმარება სჭირდებოდა.

შეტყობინების მიღებისთანავე შემთხვევის ადგილზე უმოკლეს დროში გამოცხადდნენ მეხანძრე-მაშველები, პოლიცია და სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ჯგუფები.

ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, ტურისტთა 7-კაციანი ჯგუფი ფშაველი-აბანო-ომალოს საავტომობილო გზაზე ველოსიპედებით გადაადგილდებოდა, როდესაც ერთ-ერთი ტურისტი გზიდან ხევში გადავარდა. თანმხლები პირები მის დახმარებას შეეცადნენ, თუმცა თავად ხევიდან გამოსვლას ველარ ახერხებდნენ. მამაკაცი ადგილზე დაიღუპა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველებმა ტურისტები დაუყოვნებლივ უსაფრთხო ადგილზე გადაიყვანეს.

გარდაცვლილის ცხედარი გადასვენებულია ექსპერტიზაზე, – აღნიშნულია უწყების განცხადებაში.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნილბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

# ბაიდენი: „ტრამპი არჩევნების გაყალბებას აპირებს!“



აშშ-ის ყოფილმა ვიცეპრეზიდენტმა ბაიდენმა მის მიმართ გამოთქმული ყველა ბრალდება უარყო.

მან განაცხადა, რომ უკრაინაში რეფორმების წარმატებებისთვის ყველაფერი გააკეთა. ძლიერი, ერთიანი, უნიტარულ უკრაინა აშშ-ის ინტერესებშია. ბაიდენიც ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს განუხრელად იცავდა.

– ის ფაქტი, რომ ტრამპმა ჩემ მიმართ ყალბი ბრალდებები გამოთქვა, დამაფიქრებელია! ის არჩევნების გაყალბებასა და ამ გზით პოსტზე დარჩენას აპირებს, – თქვა ბაიდენმა.

ამასობაში აშშ-ის კონგრესის სპიკერმა და დემოკრატიული პარტიის წევრმა ნენსი პოლოსიმ პრეზიდენტ ტრამპს ახალი ბრალდებები წაუყენა. პოლოსიმ განაცხადა, რომ ტრამპმა უკრაინაზე ზეწოლა მართლაც განახორციელა და შეეცადა, ეს ფაქტი დაემალა.

– ამის გამო ტრამპი იმპიჩმენტს იმსახურებს! მან პირადი ინტერესები ამერიკის ეროვნულ ინტერესებზე მაღლა დააყენა, – განაცხადა პოლოსიმ.

აშშ-ის კონგრესის სპიკერმა ასევე აღნიშნა, რომ ტრამპმა პრეზიდენტის ძალაუფლება ბოროტად გამოიყენა. დემოკრატიული პარტიაც ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, რათა ტრამპს იმპიჩმენტი გამოუცხადონ.

# თურქეთი ამერიკულ რაკეტებს ყიდულობს



თურქეთის პრეზიდენტი რეჯებ ერდოღანი ჟურნალისტებს შეხვდა. მან განაცხადა, რომ ნიუ იორკში დონალდ ტრამპს შეხვდა. საუბრის ძირითადი თემა თურქეთ-აშშ-ის ურთიერთობები იყო.

– ჩვენ ამერიკულ რაკეტა „პეტრიოტის“ ყიდვას ვაპირებთ, თუ ფასი რუსეთის რაკეტების ტოლფასი ან უფრო ნაკლები იქნება, – თქვა ერდოღანმა.

თურქეთის პრეზიდენტმა დაამატა, რომ მიუხედავად ამერიკული სანქციებისა, ირანთან ურთიერთობები გაგრძელდება.

– თურქეთი ირანული გაზისა და ნავთობის გარეშე ვერ გაძლებს! თეირანთან თანამშრომლობაც გაგრძელდება, – ამბობს ერდოღანი.

# ლავროვი: „ბელარუსის უარი რუსული სამხედრო ავიაბაზის განთავსებაზე უსიამოვნო სიურპრიზი იყო“



რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ბელარუსის უარს ქვეყანაში რუსული სამხედრო ავიაბაზის განთავსებაზე „უსიამოვნო ეპიზოდად“ აფასებს.

– ეს ქმედება უსიამოვნო სიურპრიზი იყო, თუმცა მთავარია შინაარსი და არა ფორმა. რაც შეეხება შინაარსს, ალექსანდრე ლუკაშენკოს არაერთხელ უთქვამს, რომ რუსეთი 100-პროცენტიანი მოკავშირეა, – განაცხადა ლავროვმა.

რუსი დიპლომატის განმარტებით, ბელარუსის პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ ბელარუსის ჯარი „იცავს საერთო ინტერესებსა და ტერიტორიას“.

რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ ორივე ქვეყანას აქვს „ერთობლივი სამოქმედო პროგრამა“ საგარეო პოლიტიკის მიმართულებით.

– ეს დოკუმენტი პუნქტუალურად და ზედმიწევნით აღწერს იმ ერთობლივ ნაბიჯებს, რომლებსაც ჩვენ მომავალში გადავდგამთ, – განაცხადა ლავროვმა და აღნიშნული დოკუმენტის უნიკალურობას ხაზი გაუსვა.

კრემლმა ბელარუსს მის ტერიტორიაზე რუსული ავიაბაზის განთავსება 2015 წელს შესთავაზა. მოსკოვი იმედოვნებდა, რომ ბელარუსში სუ-27 ტიპის ავიაგამანადგურებლებს განათავსებდა. თუმცა ბელარუსმა შარშან განაცხადა, რომ ის ქვეყანაში რუსული ავიაბაზის განთავსების საჭიროებას ვერ ხედავდა, ვინაიდან ასეთი ნაბიჯი რეგიონში დაძაბულობის გამწვავების რისკს ქმნიდა.

# კადიროვი ავად არის



ჩეჩნეთის ხელისუფლების მეთაური რამზან კადიროვი ავად არის. ის სამკურნალოდ მოსკოვში გადაიყვანეს. ინფორმაცია ამის შესახებ სოციალურ ქსელებში გაჩნდა.

ჩეჩნეთის ჯანდაცვის მინისტრმა სულეიმანოვმა ეს უარყო.

– კადირივი გრიპითაა დაავადებული. ის აქ, გარნიზონში იმყოფება, – თქვა მან.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

## კალეიდოსკოპი

# მამაკაცმა ხანძარი ლუდით ჩააქრო



გერმანელმა ავტომოყვარულმა ცეცხლმოკიდებულ ძრავას რამდენიმე ბოთლი ლუდი დაასხა და ხანძარი ჩააქრო.

მამაკაცი მანქანით ბავარიის ქალაქ ხესბახის მახლობლად ავტობანზე იმყოფებოდა, როდესაც უცნაური სუნი იგრძნო, შემდეგ კი მანქანის კაპოტის ქვევიდან გამომავალი ცეცხლის ენები შენიშნა.

მან ავტომობილის სალონში მდებარე კეისიდან რამდენიმე ბოთლი ლუდი ამოიღო და ცეცხლს დაასხა. მეხანძრეები მალევე მივიდნენ შემთხვევის ადგილზე, თუმცა ცეცხლი უკვე ჩამქრალი იყო.

# ცხრა წლის ბიჭმა მანქანა გაიტაცა და ავარიას გადაურჩა

ამერიკის ქალაქ ლას-ვეგასში ბავშვმა დედის მანქანა გაიტაცა და ქუჩებში სეირნობდა.

ცხრა წლის ბიჭი დედის ავტომობილის საჭეს დილით ადრე, იმ დროს მიუჯდა, როდესაც დედამისი შხაპს იღებდა. ის ქუჩებში დასეირნობდა მანქანით და რამდენიმეჯერ კინაღამ ავარიაში მოყვა.

თვითმხილველმა მარკ კებიგონმა ლას-ვეგასის გარეუბანში შენიშნა ავტომობილი, რომელიც გზაზე უსწორმასწოროდ მოძრაობდა და იფიქრა, რომ საჭესთან მთვრალი მძღოლი იჯდა. მან ამის თაობაზე პოლიციას აცნობა.

პოლიციელებმა ავტომობილი ბავშვის სახლიდან დაახლოებით ათ კილომეტრში გააჩერეს. ამ ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა. ბავშვი სახლში დააბრუნეს. არც მისი და არც მისი დედის მიმართ პოლიციას რამე სახის სანქციებისთვის არ მიუმართავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ცეკვის აკადემია
თელა

გიწვევთ
თანამედროვე,
სამეჯლისო-სპორტული
ცეკვების შესასწავლად



ჯგუფები იმუშავებენ ასაკობრივი დაყოფით 10 წლიდან და ზევით.
ჩაწერა იწარმოებს 20 აგვისტოდან.
მისამართი: აკაკი წერეთლის 126.
ტელ: 599-77-80-08 235-52-75
Email: academytela@yahoo.com

## სპორტი

# მილტონ ჰეიგმა ურუგვაისთან სასტარტო შემადგენლობა დაასახელა



ბორჯღალოსნების მთავარმა მწვრთნელმა მილტონ ჰეიგმა იაპონიაში მიმდინარე მსოფლიოს თასის მეორე მატჩისთვის 23-კაციანი შემადგენლობა დაასახელა და პირველი შეხვედრის შემდეგ გუნდი თითქმის სრულად გადაახალისა. უელსთან ნათამაშები მატჩის (14:43) შემდეგ სასტარტო შემადგენლობაში ადგილი მხოლოდ 3-მა მორაგბემ შეინარჩუნა.

12 ცვლილებიდან 5 ხაზში განხორციელდა. 9 ნომრის პოზიციაზე თამაშს გელა აფრასიძე იწყებს, რომელიც წინა მატჩში ვასილ ლობჟანიძის შემცვლელი იყო, ახლა კი მათ როლები გაცვალეს. თედო აბჟანდაძე ერთ-ერთი ის მორაგბეა, რომელიც ამჯერადაც ძირითადშია.

ფრთიდან ცენტრში გადაინაცვლა და ლაშა მალაღურაძეს შეუწყვილდება გიორგი კველაძე. მალაღურაძე უელსთან განაცხადში არ იყო. განაცხადში არ იყვნენ და ამჯერად ფრთებზე იწყებენ თამაშს სანდრო თოდუა და ზურაბ ძნელაძე. უელსთან სულ რამდენიმე წუთი ითამაშა და ამჯერად ფულბეკის პოზიციაზე ძირითადშია ლაშა ხმალაძე.

ტრავმა მოიშუშა და ურუგვაისთან შეცვლაზე ითამაშებს გუნდის კაპიტანი მერაბ შარიქაძე. მარქაფაშია სოსო მათიაშვილიც.

მთლიანობაში, ჰეიგმა სამხრეთამერიკელებთან სათამაშოდ გამოცდილი ხაზის მოთამაშეები შეარჩია.

ურუგვაისთან საქართველოს ნაკრების კაპიტანი კვაჭი ჯაბა ბრეგვაძე იქნება, რომელიც გახდება 32-ე მორაგბე, რომელსაც აქამდე ბორჯღალოსნებისთვის უკაპიტნია. მან უელსთან შეცვლაზე ითამაშა, ახლა კი ძირითადშია.

სულ ჰეიგმა 8-იდან 7 მორკინალი შეცვალა. პირველ ხაზში ბრეგვაძეს მხარს გურამ გოგიჩაშვილი და ლევან ჩილაჩავა გაუმაგრებენ. უელსთან ისინი მარქაფაში იყვნენ. მარქაფაში გადაინაცვლა მარჯვენა ბურჯმა ბექა გიგაშვილმა, ახალგაზრდა კვაჭი ვანო კარკაძე და გიორგი მელიქიძე კი მსოფლიოს თასზე პირველად ითამაშებენ.

მეორე ხაზში ადგილი შეინარჩუნა კოტე მიქაუტაძემ, რომელსაც ლაშა ლომიძე შეუწყვილდება. ლომიძესთვის ეს იაპონიაში პირველი თამაში იქნება. მეორე ხაზში შეცვლაზე შევა მამუკა გორგოძე, რომელმაც უელსთან მესამე ხაზში, ძირითადში ითამაშა.

მესამე ხაზში თამაშს ის მორაგბეები იწყებენ, რომლებიც პირველ მატჩში მარქაფაში იყვნენ. ფლანკერები შალვა სუთიაშვილი და ბექა სალინაძე იქნებიან, ხოლო შემკვრელი ოთარ გიორგაძეა. მესამე ხაზის მარქაფაშია ბექა გორგაძე.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# განცხადებები

**იყიდება**

● იყიდება მსხმოიარე ვენახი 0,5 ჰექტარი, ვენახში არის ჩინურის, თავკვერის და ალადასტურის ჯიშის ყურძენი. თბილისიდან 35 წუთის სავალზე, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში. ნაკვეთთან ახლოს გადის გზა, წყალი, გაზი და სინათლე. გამოდგება მარნის მოსაწყობად. 1 კვ.მ ფასი 12 ლარი. ტელ: 593 127337; 593 515603.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● დიაბეტური დაავადებების, ხერხემლის გამრუდების, ბავშვებში ბრტყელტერფიანობის, ყურებში შუილის, სმენის დაქვეითების მკურნალობა. მოგემსახურებათ გაეროს სერტიფიკატის მფლობელი ექიმი თამარ შავერდოვა. ტელ: 579-281-766.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ლევან მჭედლიძე: „საქართველოს ნაკრებში თამაში წარმოუდგენელი გრძნობაა“

მთელი პროფესიული კარიერა იტალიაში გაატარა, ამჯერად კი თბილისის დინამოს ფეხბურთელია. ისეთი ფეხბურთელის ჩამოსვლა, როგორიც ლევან მჭედლიძეა, ეროვნული ჩემპიონატისადმი ინტერესს კიდევ უფრო გაზრდის.

***– ალბათ უცნაური გრძნობაა, 13-წლიანი კარიერის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდი და თბილისის დინამოს წევრი ხარ.***

– ასეა და ახლა ერთი სული მაქვს, როდის ვითამაშებ! ამ ზაფხულს უფრო დავაკვირდი ქართულ გუნდებს და მიუხედავად ფეიენოორდთან წაგებისა, დინამოს პოტენციალი დავინახე. არის წინსვლა და მინდა, რომ მომავალში წინსვლის ნაწილი მეც გავხდე. ეგოისტი არ ვარ და ტრანსფერს არასდროს ვუყურებ მხოლოდ ჩემი მხრიდან, როგორც მე ვარ ბედნიერი, გუნდიც ასევე ბედნიერი უნდა იყოს ჩემი აქ ყოფნით.

***– დინამოში დებიუტს როდის უნდა ველოდოთ?***

– სავარაუდოდ, 2 ოქტომბერს საბურთალოსთან. 5-ში კი ბათუმის დინამოსთან გვაქვს გასვლითი მატჩი. ეს ის თამაშებია, სადაც ბევრი რამ გაირკვევა, მაგრამ ზოგადად, ყოველთვის მომდევნო მატჩზე უნდა ვიფიქროთ. მანამდე სიონთან მატჩია და მეტოქე უნდა დავაფასოთ.

***– პირველი შთაბეჭდილებები როგორია, რას გვეტყვი ჩისკოზე?***

– კარგი გარემო და ინტენსიური ვარჯიშებია, ჩისკოს ესპანური სტილი აქვს დანერგილი, რაც პირდაპირ ვიტყვი, ბედნიერებაა ფეხბურთელისთვის. მთავარია, ყველანი ავყვეთ და მაქსიმალურად დავიხარჯოთ.

***– რა იწვევდა ხშირ ტრავმიანობას? ბევრი ამბობდა, რომ მჭედლიძემ უცებ აიყარა ტანი და ამან მოახდინა გავლენა.***

– სიმაღლეში 2 თვეში 8 სანტიმეტრით გავიზარდე, მაგრამ ტრავმები ამის ბრალი არ ყოფილა. მიზეზი სხვა რამ იყო: ზოგჯერ ერთდროულად 3 ნაკრებში მიწევდა თამაში. ჩამოვიდოდი, ხან 17-წლამდელები, ხან 19-წლამდელები, ხან მთავარი ნაკრები... ვარჯიშის გარდა, ყველაფერს ვაკეთებდი. მოკლედ, ვარჯიშის ნაცვლად ვთამაშობდი.

***– იმ დროს, ალბათ, ამაზე ნაკლებად ფიქრობდი და თამაში გიხაროდა.***

– დიახ, მაშინ სიამოვნებას ვიღებდი, მაგრამ ამან მოგვიანებით იჩინა თავი. საბედნიეროდ, ახლა ფიზიკურად თავს კარგად ვგრძნობ.

***– ყველაზე შედეგიანი პერიოდი 2017 წლის გაზაფხულზე გქონდა, სერია ა-ში გოლები გაგქონდა და მნიშვნელოვან მომენტში დაშავდი. დიდი ხანი გაგიცდა და რატომ გაიწელა გამოჯანმრთელების პროცესი?***



– ეს მილანთან მატჩის მერე მოხდა, როცა გოლი გავიტანე. 4 თვე ოპერაცია ვერ გავიკეთე. ემპოლიში მითხრეს, ოპერაცია არ გჭირდება, ვარჯიში შეგიძლიაო. ეგონათ, წასვლა მინდოდა და მიზეზებს ვეძებდი. ცუდ რამეს მაბრალებდნენ, რაც არ მჩვევია – ჯერ პიროვნება ხარ და მერე სპორტსმენი. მოკლედ, აპრილში გასაკეთებელი ოპერაცია სექტემბერში გავიკეთე.

***– მთელი კარიერა იტალიაში გაატარე და ვიცით, რომ ადრე უფრო სარფიან წინადადებებზე უარი თქვი – მიეჩვიე აპენინებს?***

– სახლში ვგრძნობდი თავს, ასე იყო ტოსკანაშიც (ემპოლი) და სიცილიაზეც (პალერმო). პალერმოს მწვრთნელთან, დელიო როსისთან უთანხმოება მომივიდა, ამ კონფლიქტში ჩემი შეცდომაც იყო, მაგრამ მეორე მხრივ, როსის ჩემ მერე კიდევ არაერთ ფეხბურთელთან ჰქონდა უთანხმოება... მაგალითისთვის ადემ ლიაიჩთან, რისი ვიდეოკადრებიც არსებობს.

წინადადებები სულ მქონდა – ესპანეთიდან, გერმანიიდან, რუსეთიდან და იტალიის წამყვანი გუნდებიდანაც. უბრალოდ, არ მინდა კლუბების დასახელება, წასული ამბავია... ისე მოვყვები – როდესაც ტრავმას ვიღებდი, მილანს მივყავდი სამკურნალოდ, „მილან ლაბი“ არის სამედიცინო ცენტრი. ჰოდა, ისე მოხდა, რომ მილანმა მიმკურნალა და მაშინ სწორედ მილანს გავუტანე...

***– როგორც ვიცით, იტალიაში ტიფოზები ძნელად პატიობენ წაგებას.***

– გააჩნია გუნდს, ემპოლიში გვპატიობდნენ, აი, პალერმო კი სულ სხვაა – იქ ძალიან აგრესიული ტიფოზები ჰყავთ!

***– ემპოლიში მაურიციო სარისთან მოგიწია მუშაობა, იმ პერიოდში ცნობილი სპეციალისტი არ იყო, მაგრამ მერე ნაპოლი, ჩელსი, იუვენტუსი... მოგვიყევი მასზე.***

– თავისუფალი კაცია, რომელსაც სიგიჟემდე უყვარს თავისი საქმე. კვირაში მხოლოდ ერთ დღეს ატარებს ოჯახთან. დილით მიხვალ ვარჯიშზე და სარის მანქანა იქ დგას. საღამოს ყველა რომ წავა, ისევ იქ დგას...

მახსოვს, ემპოლიში პირველ სეზონში 9 ტურის მერე მხოლოდ 2 ქულა გვქონდა. პრესა ყოველდღე ლანძღავდა, მაგრამ პრეზიდენტმა თქვა, მაგარიაო და ენდო. იმ წელს ისე მოვუმატეთ, ფლეი ოფში გავედით და კინაღამ გადავედით სერია ა-ში. სარი გეხუმრება, შენი მეგობარია, მაგრამ ვარჯიშზე ის საათ-ნახევარი მანქანასავით უნდა იყო და ბოლომდე დაიხარჯო. როცა ერთი ფეხბურთელი რამეს დააშავებდა, მთელ გუნდს სჯიდა.

ზოგადად, მწვრთნელებში მიმართლებდა. ბალარდინი, ტოპმიოლერი, კუპერი, სარი... თუნდაც დელიო როსი, მიუხედავად უთანხმოებისა, ძლიერი სპეციალისტი იყო.

***– ვლადიმირ ვაისი?***

– ამ კაცის პროფესიონალიზმზე ლაპარაკი ზედმეტია და პლუს, ძალიან კარგი მიდგომა აქვს ფეხბურთელებთან. ნაკრებზეც ვიტყვი: შესარჩევის დარჩენილ თამაშებში შედეგზეც უნდა ვიფიქროთ და თან, ერთა ლიგის ფლეი ოფისთვის მოსამზადებლად გამოვიყენოთ. ყველამ ერთად უნდა გავაკეთოთ საქმე – ფეხბურთელებმა, ჟურნალისტებმა, გულშემატკივრებმა... საწყენია, როდესაც უდარდელობას გაბრალებენ, თითქოს ჩვენ არ გვინდა მოგება... ეზოში რომ თამაშობ, მაშინ გინდა გამარჯვება და საქართველოს ნაკრების ფორმით როდესაც დგახარ მინდორზე წარმოუდგენელი გრძნობაა.

***– ვიცით, რომ პრესასა და სოციალურ ქსელებს ყურადღებას აქცევ.***

– კი, თუმცა ვცდილობ, ბევრი აღარ ვიფიქრო, როდესაც თამაში არ გამოგდის, უნდა გაგაკრიტიკონ და ეს ნორმალურია. ზოგჯერ გულსატკენ რაღაცეებსაც მოისმენ და წაიკითხავ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ვინც ცუდად ხუმრობს, იმასაც გულის სიღრმეში კარგი სურს ქართველი ფეხბურთელისთვის.

***– შენი საუკეთესო პარტნიორი მოედანზე ვინ არის? როგორც ქართველი, ისე უცხოელი.***

– ქართველებიდან ლევან ყენია. თავიდანვე კარგად ვუგებდით ერთმანეთს. სამწუხაროდ, ყენიას ტრავმების გამო კარგად ვერ წაუვიდა კარიერა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ნებისმიერ დროს შეიძლება მოუმატოს, დღესაც მაგრად შეუძლია თამაში.

უცხოელებიდან კი სიმონე ვერდი – ემპოლიში ზოგჯერ ისეთ პასს დამიხატავდა ხოლმე... მერე მილანში გადავიდა. ასევე, რადე კრუნიჩი, ხავიერ პასტორე... ლეანდრო პარედესის გვერდით თამაშიც კომფორტული იყო. ახლა დინამოში ველოდები ასეთ პარტნიორებს.

***– მატჩი, რომლის შემდეგაც ყველაზე გახარებული იყავი...***

– სამს დავასახელებ... პირველი: საქართველო შოტლანდიია 2:0, როდესაც 17 წლის ვიყავი და ნაკრებში გოლი გავიტანე; მეორე: პალერმოში თამაშისას ჯანლუიჯი ბუფონს რომ გავუტანე და იუვენტუსს სტუმრად მოვუგეთ; დაბოლოს, ერთი მატჩი იყო ემპოლიში, სერია ბ-დან ვვარდებოდით და ვიჩენცას ვხვდებოდით, დამარცხების შემთხვევაში შანსი თითქმის არ გვრჩებოდა, 0:2-ს ვაგებდით, შეცვლაზე შევედი და ჯერ მე გავიტანე, მერე ტავანომ, ბოლო წუთზე კი მასიმო მაკარონეს მივეცი საგოლე პასი და 3:2 მოვიგეთ! სანამ მაკარონე გაიტანდა, ვიჩენცამ პენალტი ვერ შეაგდო. მოკლედ, სასწაული თამაში იყო. იმედია, წინ კარგი ამბები მელის. ჯერ საქართველოს ჩემპიონობას ვუმიზნებთ!

# ევროპა მადრიდული დერბის მოლოდინშია

## სტატისტიკა, ფსონები

დადგა უქმეები და იწყება საფეხბურთო ციებ-ცხელება. ევროპის წამყვან ჩემპიონატებში ბევრი საინტერესო მატჩია, მაგრამ ერთი აუცილებლად გამოსარჩევია – მადრიდული დერბი.

ატლეტიკო შინაურ „ვანდა მეტროპოლიტანოზე“ რეალს დაუხვდება. ასევე საინტერესოა მატჩი მანჩესტერში, სადაც იუნაიტედთან სათამაშოდ ლონდონის არსენალი ჩადის. მოკლედ, მოსაწყენი უიქენდი არ იქნება...

### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 28.09 შეფილდი-ლივერპული | 8.00 | 5.00 | 1.35 |
| 28.09 ვულვზი-უოტფორდი | 1.90 | 3.50 | 4.30 |
| 28.09 ბორნმუთი-ვესტ ჰემი | 2.45 | 3.70 | 2.70 |
| 28.09 ასტონ ვილა-ბარნლი | 2.35 | 3.40 | 3.00 |
| 28.09 ტოტენჰემი-საუთჰემპტონი | 1.45 | 4.70 | 6.75 |
| 28.09 კრ.პალასი-ნორვიჩი | 1.95 | 3.70 | 3.80 |
| 28.09 ჩელსი-ბრაიტონი | 1.45 | 4.65 | 6.75 |
| 28.09 ევერტონი-სიტი | 8.75 | 5.75 | 1.30 |
| 29.09 ლესტერი-ნიუკასლი | 1.55 | 4.05 | 6.75 |
| 30.09 მანჩესტერი-არსენალი | 2.30 | 3.60 | 3.00 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 6 | 6 | 0 | 0 | 17-5 | 18 |
| 2.სიტი | 6 | 4 | 1 | 1 | 24-6 | 13 |
| 3.ლესტერი | 6 | 3 | 2 | 1 | 8-5 | 11 |
| 4.არსენალი | 6 | 3 | 2 | 1 | 11-10 | 11 |
| 5.ვესტ ჰემი | 6 | 3 | 2 | 1 | 8-7 | 11 |
| 6.ბორნმუთი | 6 | 3 | 1 | 2 | 11-10 | 10 |
| 7.ტოტენჰემი | 6 | 2 | 2 | 2 | 12-8 | 8 |
| 8.მანჩესტერი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-6 | 8 |
| 9.ბარნლი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-7 | 8 |
| 10.შეფილდი | 6 | 2 | 2 | 2 | 7-6 | 8 |
| 11.ჩელსი | 6 | 2 | 2 | 2 | 12-13 | 8 |
| 12.კრ.პალასი | 6 | 2 | 2 | 2 | 4-7 | 8 |
| 13.საუთჰემპტონი | 6 | 2 | 1 | 3 | 6-9 | 7 |
| 14.ევერტონი | 6 | 2 | 1 | 3 | 5-9 | 7 |
| 15.ნორვიჩი | 6 | 2 | 0 | 4 | 9-14 | 6 |
| 16.ბრაიტონი | 6 | 1 | 3 | 2 | 5-8 | 6 |
| 17.ნიუკასლი | 6 | 1 | 2 | 3 | 4-8 | 5 |
| 18.ასტონ ვილა | 6 | 1 | 1 | 4 | 6-9 | 4 |
| 19.ვულვზი | 6 | 0 | 4 | 2 | 7-11 | 4 |
| 20.უოტფორდი | 6 | 0 | 2 | 4 | 4-18 | 2 |

### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 28.09 აუგსბურგი-ლევერკუზენი | 4.60 | 4.55 | 1.65 |
| 28.09 მაინცი-ვოლფსბურგი | 2.90 | 3.55 | 2.35 |
| 28.09 პადერბორნი-ბაიერნი | 15.75 | 9.25 | 1.14 |
| 28.09 ლაიფციგი-შალკე | 1.55 | 4.50 | 5.25 |
| 28.09 დორტმუნდი-ვერდერი | 1.25 | 6.50 | 9.50 |
| 29.09 დიუსელდორფი-ფრაიბურგი | 2.45 | 3.55 | 2.75 |
| 29.09 კიოლნი-ჰერტა | 2.15 | 3.70 | 3.20 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლაიფციგი | 5 | 4 | 1 | 0 | 13-3 | 13 |
| 2.ბაიერნი | 5 | 3 | 2 | 0 | 16-4 | 11 |
| 3.დორტმუნდი | 5 | 3 | 1 | 1 | 15-7 | 10 |
| 4.ფრაიბურგი | 5 | 3 | 1 | 1 | 11-4 | 10 |
| 5.შალკე | 5 | 3 | 1 | 1 | 10-5 | 10 |
| 6.გლადბახი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-5 | 10 |
| 7.ლევერკუზენი | 5 | 3 | 1 | 1 | 8-7 | 10 |
| 8.ვოლფსბურგი | 5 | 2 | 3 | 0 | 8-4 | 9 |
| 9.აინტრახტი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-7 | 7 |
| 10.ვერდერი | 5 | 2 | 0 | 3 | 8-12 | 6 |
| 11.აუგსბურგი | 5 | 1 | 2 | 2 | 7-11 | 5 |
| 12.ჰოფენჰაიმი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-7 | 5 |
| 13.ფორტუნა | 5 | 1 | 1 | 3 | 7-9 | 4 |
| 14.უნიონი | 5 | 1 | 1 | 3 | 5-10 | 4 |
| 15.ჰერტა | 5 | 1 | 1 | 3 | 5-11 | 4 |
| 16.კიოლნი | 5 | 1 | 0 | 4 | 4-11 | 3 |
| 17.მაინცი | 5 | 1 | 0 | 4 | 5-15 | 3 |
| 18.პადერბორნი | 5 | 0 | 1 | 4 | 6-14 | 1 |

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 28.09 ბილბაო-ვალენსია | 2.20 | 3.15 | 3.60 |
| 28.09 ხეტაფე-ბარსელონა | 4.30 | 3.60 | 1.85 |
| 28.09 გრანადა-ლეგანესი | 2.40 | 2.95 | 3.35 |
| 28.09 ატლეტიკო-რეალი | 2.40 | 3.35 | 3.00 |
| 29.09 ესპანიოლი-ვალიადოლიდი | 1.95 | 3.35 | 4.30 |
| 29.09 ეიბარი-სელტა | 2.35 | 3.30 | 3.10 |
| 29.09 ალავესი-მალიორკა | 2.15 | 3.10 | 3.85 |
| 29.09 ლევანტე-ოსასუნა | 2.10 | 3.50 | 3.50 |
| 29.09 სევილია-სოსიედადი | 1.70 | 3.85 | 4.80 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 6 | 4 | 2 | 0 | 12-6 | 14 |
| 2.სოსიედადი | 6 | 4 | 1 | 1 | 10-4 | 13 |
| 3.ატლეტიკო | 6 | 4 | 1 | 1 | 7-4 | 13 |
| 4.ბილბაო | 6 | 3 | 3 | 0 | 7-2 | 12 |
| 5.გრანადა | 6 | 3 | 2 | 1 | 12-6 | 11 |
| 6.სევილია | 6 | 3 | 1 | 2 | 7-5 | 10 |
| 7.ბარსელონა | 6 | 3 | 1 | 2 | 14-10 | 10 |
| 8.ვილიარეალი | 6 | 2 | 2 | 2 | 13-10 | 8 |
| 9.ბეტისი | 6 | 2 | 2 | 2 | 9-10 | 8 |
| 10.ხეტაფე | 6 | 1 | 4 | 1 | 10-9 | 7 |
| 11.ლევანტე | 6 | 2 | 1 | 3 | 7-8 | 7 |
| 12.ოსასუნა | 6 | 1 | 4 | 1 | 4-5 | 7 |
| 13.ვალენსია | 6 | 1 | 3 | 2 | 9-11 | 6 |
| 14.ვალიადოლიდი | 6 | 1 | 3 | 2 | 5-8 | 6 |
| 15.სელტა | 6 | 1 | 3 | 2 | 4-7 | 6 |
| 16.ეიბარი | 6 | 1 | 2 | 3 | 7-9 | 5 |
| 17.ესპანიოლი | 6 | 1 | 2 | 3 | 4-10 | 5 |
| 18.ალავესი | 6 | 1 | 2 | 3 | 2-7 | 5 |
| 17.მალიორკა | 6 | 1 | 1 | 4 | 4-10 | 4 |
| 20.ლეგანესი | 6 | 0 | 2 | 4 | 3-9 | 2 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 28.09 იუვენტუსი-სპალი | 1.30 | 5.50 | 10.25 |
| 28.09 სამპდორია-ინტერი | 5.00 | 4.00 | 1.65 |
| 28.09 სასუოლო-ატალანტა | 3.40 | 3.75 | 2.05 |
| 29.09 ნაპოლი-ბრეშა | 1.30 | 6.50 | 8.50 |
| 29.09 უდინეზე-ბოლონია | 2.85 | 3.30 | 2.50 |
| 29.09 ლეჩე-რომა | 4.10 | 4.10 | 1.80 |
| 29.09 ლაციო-ჯენოა | 1.50 | 4.75 | 6.00 |
| 29.09 კალიარი-ვერონა | 2.10 | 3.30 | 3.70 |
| 29.09 მილანი-ფიორენტინა | 2.30 | 3.20 | 3.25 |
| 30.09 პარმა-ტორინო | 3.10 | 3.35 | 2.35 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 5 | 5 | 0 | 0 | 10-1 | 15 |
| 2.იუვენტუსი | 5 | 4 | 1 | 0 | 9-5 | 13 |
| 3.ატალანტა | 5 | 3 | 1 | 1 | 11-8 | 10 |
| 4.ნაპოლი | 5 | 3 | 0 | 2 | 13-9 | 9 |
| 5.კალიარი | 5 | 3 | 0 | 2 | 8-5 | 9 |
| 6.ტორინო | 5 | 3 | 0 | 2 | 8-7 | 9 |
| 7.რომა | 5 | 2 | 2 | 1 | 10-9 | 8 |
| 8.ბოლონია | 5 | 2 | 2 | 1 | 7-6 | 8 |
| 9.ლაციო | 5 | 2 | 1 | 2 | 7-4 | 7 |
| 10.სასუოლო | 5 | 2 | 0 | 3 | 10-8 | 6 |
| 11.ბრეშა | 5 | 2 | 0 | 3 | 6-7 | 6 |
| 12.პარმა | 5 | 2 | 0 | 3 | 5-7 | 6 |
| 13.მილანი | 5 | 2 | 0 | 3 | 3-5 | 6 |
| 14.ლეჩე | 5 | 2 | 0 | 3 | 6-11 | 6 |
| 15.ფიორენტინა | 5 | 1 | 2 | 2 | 8-9 | 5 |
| 16.ვერონა | 5 | 1 | 2 | 2 | 3-4 | 5 |
| 17.ჯენოა | 5 | 1 | 2 | 2 | 7-9 | 5 |
| 18.უდინეზე | 5 | 1 | 1 | 3 | 2-5 | 4 |
| 19.სპალი | 5 | 1 | 0 | 4 | 5-11 | 3 |
| 20.სამპდორია | 5 | 1 | 0 | 4 | 3-11 | 3 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 28.09 ლიონი-ნანტი | 1.55 | 4.10 | 6.00 |
| 28.09 ბორდო-პსჟ | 6.25 | 4.70 | 1.50 |
| 28.09 რეიმსი-დიჟონი | 1.80 | 3.45 | 5.00 |
| 28.09 მონაკო-ბრესტი | 1.55 | 4.30 | 6.00 |
| 28.09 მეცი-ტულუზა | 2.10 | 3.30 | 3.65 |
| 28.09 ნიცა-ლილი | 2.90 | 3.20 | 2.55 |
| 28.09 ანჟე-ამიენი | 1.80 | 3.45 | 4.80 |
| 29.09 სტრასბური-მონპელიე | 2.65 | 3.05 | 2.90 |
| 29.09 ნიმი-სტ.ეტიენი | 2.35 | 3.40 | 3.05 |
| 29.09 მარსელი-რენი | 2.00 | 3.45 | 3.85 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 7 | 5 | 0 | 2 | 12-4 | 15 |
| 2.ანჟე | 7 | 5 | 0 | 2 | 15-10 | 15 |
| 3.ლილი | 7 | 4 | 1 | 2 | 10-6 | 13 |
| 4.ნანტი | 7 | 4 | 1 | 2 | 7-5 | 13 |
| 5.ბორდო | 7 | 3 | 3 | 1 | 12-8 | 12 |
| 6.მარსელი | 7 | 3 | 3 | 1 | 8-7 | 12 |
| 7.ნიცა | 7 | 4 | 0 | 3 | 11-11 | 12 |
| 8.რეიმსი | 7 | 3 | 2 | 2 | 6-2 | 11 |
| 9.რენი | 7 | 3 | 2 | 2 | 7-5 | 11 |
| 10.მონპელიე | 7 | 3 | 2 | 2 | 6-5 | 11 |
| 11.ლიონი | 7 | 2 | 3 | 2 | 14-7 | 9 |
| 12.ნიმი | 7 | 2 | 2 | 3 | 7-8 | 8 |
| 13.ბრესტი | 7 | 1 | 5 | 1 | 7-9 | 8 |
| 14.ტულუზა | 7 | 2 | 2 | 3 | 6-10 | 8 |
| 15.ამიენი | 7 | 2 | 1 | 4 | 8-12 | 7 |
| 16.მეცი | 7 | 2 | 1 | 4 | 6-10 | 7 |
| 17.სტრასბური | 7 | 1 | 3 | 3 | 5-9 | 6 |
| 18.მონაკო | 7 | 1 | 3 | 3 | 10-15 | 6 |
| 19.სტ.ეტიენი | 7 | 1 | 2 | 4 | 6-13 | 5 |
| 20.დიჟონი | 7 | 0 | 2 | 5 | 2-9 | 2 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ასეულობით შიშველმა ქალმა და მამაკაცმა ზღვაში იბანავა



ასეულობით შიშველმა ბრიტანელმა ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის საქველმოქმედო ფონდის მხარდაჭერის ფარგლებში ჩრდილოეთის ზღვაში იბანავა.

საქველმოქმედო აქცია კვირას, 22 სექტემბერს გაიმართა, შემოდგომის ბუნიობაზე. წინასწარი მონაცემებით, დედიშობილა გაცურვაში მონაწილეობა 700-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო. მის ყველა მონაწილეს ბოლოს მწვადებით გაუმასპინძლდნენ.

ღონისძიების ორგანიზატორმა ჯექს ჰიგინსონმა განაცხადა, რომ წელს აქციამ უმაღლეს დონეზე ჩაიარა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ წელს ზღვაში ინვალიდის ეტლიანებმაც კი იბანავეს.

– გარშემო უამრავი ღიმილი და მხიარულება იყო, – აღნიშნა ჰიგინსონმა, – ამ ყოველივეს ყურება დიდი სიამოვნება იყო. აქციის იდეა მხოლოდ ის კი არ იყო, რომ ადამიანები გაშიშვლებულიყვნენ. ადამიანები ავანტიურაზე მიდიოდნენ და ერთმანეთს საკუთარ ემოციებს უზიარებდნენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. რამე ღირსშესანიშნავი თარიღის საზეიმო აღნიშვნა; 2. მაღალ ტემპერატურაზე გამომწვარი ცეცხლგამძლე აგური; 3. სამოსამსახურეო მონადირე ძაღლის ჯიში; 5. ქართული ლუდი; 6. წყალზე მცურავი ყვავილების მქონე ტროპიკული მცენარე; 8. ქართული ლუდი; 11. გაეროს გენერალური მდივანი; 13. ქართული ტელეკომპანია; 14. რაჭა-ლეჩხუმის ძველი სახელწოდება; 15. საფრანგეთის პრეზიდენტი; 19. იაპონური ურითმო ლექსი.

**თარაზულად:** 1. ქართველი მილიარდერი, ქველმოქმედი, მეცენატი; 4. წმინდა ოქრო; 7. ერთ-ერთი რელიგია; 9. ოქროსფერში ამოვლებული ძაფი; 10. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული ოქროსფერი კურდღელი; 12. ლითონისკორპუსიანი ბარომეტრი; 16. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 17. დაბადების მოწმობა; 18. მოდუღებული ტყემლის მჟავე სქელი წვენი; 20. რაიონი თბილისში; 21. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 22. მწვერვალი კავკასიონზე.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. დეფინიცია; 2. მისხალი; 3. პანეში; 4. ულუსი; 5. სტამბა; 11. ლუგელა; 12. ტრაკაი; 14. მახა; 16. სუარესი; 17. ფლუგერი; 19. ბულიმია; 21. შოუდუ; 22. მაზდა.

**თარაზულად**: 6. გენეტიკა; 7. ფალცეტი; 8. სარმა; 9. ანემია; 10. შტილი; 13. დიუმა; 15. უსახელაური; 18. ბარამბო; 20. ლუზა; 21. შულერი; 23. სიმპოზიუმი; 24. რულადა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1; ალპები; 2. სოკერი; 3. რაუტი; 5. შუმი; 6. ლუხუნი; 8. სტურუა; 11. სენკევიჩი; 13. ბროდვეი; 14. ბაიდარა; 15. სისტემა; 19. კანა.

**თარაზულად**: 1. ალადასტური; 4. მარშალი; 7. პოპლიკა; 9. ტოსტერი; 10. ოსერი; 12. ბოროდინი; 16. ხანჯლური; 17. გოდერძი; 18. ადრიატიკა; 20. ჩხავერი; 21. რიფი; 22. ანოტაცია.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

28 სექტემბერი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.9552 |
| ევრო | — 3.2286 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 3.6319 |
| 100 რუსული რუბლი | — 4.6411 |

## ამინდის პროგნოზი 28 სექტემბერი





## 1 ოქტომბრიდან

რევაზ მიშველაძე

რჩეული ნოველები

ოთხტომეული

ტომი 2




ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

## 24 სექტემბრიდან




თენგიზ პაპუაშვილი

საინგილო

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი


## საქართველოს კინოაკადემიის პრეზიდენტად ბუბა ხოტივარი აირჩიეს



საქართველოს კინოაკადემიის პრეზიდენტად რეჟისორი ბუბა ხოტივარი აირჩიეს.

მას შემდეგ, რაც რეჟისორმა ზაზა ურუშაძემ დაკავებული თანამდებობა დატოვა, საქართველოს კინოაკადემიაში განმეორებითი რიგგარეშე ყრილობა ჩატარდა და თანაც უპრეცედენტოდ მაღალი კვორუმით.

საქართველოს კინოაკადემიის პრეზიდენტის თანამდებობის დასაკავებლად კენჭს იყრიდა ორი კანდიდატი – ბუბა ხოტივარი და სოსო ჯაჭვლიანი. ხმების დათვლის შემდეგ შედეგები ასეთია: 106 ხმა მიიღო ბუბა ხოტივარმა, ხოლო 63 ხმა მიიღო სოსო ჯაჭვლიანმა.

კენჭისყრის შედეგად, ხმათა უპირატესობით, 43 ხმით საქართველოს კინოაკადემიის პრეზიდენტად 5 წლის ვადით ბუბა ხოტივარი აირჩიეს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ასტროპროგნოზი



### 28 სექტემბრისთვის

**ვერძი** – გარშემომყოფებთან ურთიერთობაში გაურკვევლობა და დაძაბულობა იჩენს თავს. ემოციები აკონტროლეთ და უტაქტო გამონათქვამებს ერიდეთ. **კურო** – ცვლილებების დრო არ არის. სერიოზული საკითხების მოგვარებას დღეს პლანეტები არ გირჩევენ. **ტყუპები** – საკუთარი ძალები ადეკვატურად შეაფასეთ. მეგობრებს თქვენს აზრს ნუ შემოახვევთ. **კირჩხიბი** – ნუ იაქტიურებთ. საამისოდ არც ენერგია გეყოფათ. აკეთეთ ის, რაც გსიამოვნებთ. **ლომი** – სხვისი პრობლემების გადაწყვეტას ნუ შეეცდებით. თავი შეიკავეთ საკუთარი აზრის გამოთქმისაგან. **ქალწული** – გლობალური გადაწყვეტილებების მისაღებად სხვა დრო შეარჩიეთ. დღეს ეცადეთ, მხოლოდ წვრილმანი საქმეებით დაკავდეთ. **სასწორი** – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. დეპრესია გიტევთ, რომლის წამალიც მხოლოდ საქმეა. კარგი იქნება, თუ დაეხმარებით მათ, ვისაც ეს განსაკუთრებით სჭირდება. **ღრიანკალი** – გამორიცხული არ არის, დაგროვილ საქმეებს თავი შესანიშნავად გაართვათ, თუ, რასაკვირველია, არ იზარმაცებთ. **მშვილდოსანი** – საოჯახო პრობლემების მოგვარების დროა. შეგიძლიათ, საღამოს გაერთოთ და დაისვენოთ. **თხის რქა** – ახალი ნაცნობობა სარგებლობას მოგიტანთ. ქალაქგარეთ გასვლა, ბაღში მუშაობა, მცირეოდენი ფიზიკური დატვირთვა თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე სასიკეთოდ აისახება. **მერწყული** – ნებისმიერი პრობლემის მოგვარება ხელგეწიფებათ, ოღონდ ვარსკვლავები გაფრთხილებენ – ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. **თევზები** – დღევანდელი დღე ოჯახის წევრებს მიუძღვენით. ნუ გადაიღლებით. იზრუნეთ ჯანმრთელობაზე.

### 29 სექტემბრისთვის

**ვერძი** – თქვენს დიპლომატიასა და გამჭრიახობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. სამომავლო გეგმებს ნუ დასახავთ.**კურო** – თამამად გარისკეთ. წარმატებული და იღბლიანი დღეა. ენას კბილი დააჭირეთ. **ტყუპები** – ნებისმიერი მნიშვნელოვანი საქმის მოგვარება ხელგეწიფებათ. რისკი გამართლებულია. **კირჩხიბი** – თუ რამე ჩაიფიქრეთ, უთუოდ შეასრულეთ. ხელს ვერაფერი შეგიშლით. ახლობლებს მეტი ყურადღება მიაქციეთ და მოეფერეთ. **ლომი** – უფრო მოკრძალებული და თავდაჭერილი უნდა იყოთ. გახსოვდეთ, რომ ფშუტე თავთავი თავს მაღლა სწევს, მძიმე თავთავი კი თავდახრილია. **ქალწული** – ნუ დაგავიწყდებათ მადლიერების გამოხატვა იმ ადამიანებისადმი, რომლებმაც მძიმე წუთებში თანადგომა გაგიწიეს. საკუთარ პრინციპებს ნუ უღალატებთ. **სასწორი** – ახალი ნაცნობობა კეთილისმყოფელი იქნება. რისკის არ შეგეშინდეთ. **ღრიანკალი** – იფრთხილეთ, არავინ მოგატყუოთ. პროფესიული საქმიანობა დიდ ენერგიას დაგახარჯვინებთ. **მშვილდოსანი** – პლანეტები გმფარველობენ. განსაკუთრებით წარმატებულია დღის პირველი ნახევარი. **თხის რქა** – გიმართლებთ სასიყვარულო ურთიერთობებში, კარიერაში. ახალი საქმის დასაწყებად შეუფერებელი დღეა. **მერწყული** – ცრუ დაპირებებს არ ენდოთ. სხვის პრობლემებს გულგრილად ნუ მოეკიდებით. შეძლებისდაგვარად დაეხმარეთ გარშემომყოფებს. **თევზები** – დაძაბული სამუშაო დღეა, თუმცა მდიდარი ფანტაზიისა და წარმოსახვის წყალობით ნებისმიერ საქმეს თავს იოლად გაართმევთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## იუმორი

სამსახურის დაწყების მსურველ მამაკაცს ეკითხებიან:

– ჯარში იმსახურეთ?
– დიახ.
– ომშიც ნამყოფი ხართ?
– დიახ.
– დაჭრილი ხართ?
– დიახ, ფეხებთან ხელყუმბარა ამიფეთქდა და ორივე კვერცხი მომაგლიჯა.
– კარგით! მიღებული ხართ. ხვალ დილის 10 საათზე გამოცხადდებით სამსახურში.
– კი მაგრამ, სამუშაო ხომ 8 საათზე იწყება?
– 8-დან 10-მდე ყველანი სხედან და კვერცხებს იქექავენ იმაზე ფიქრში, თუ რა უნდა გააკეთონ.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს, ერთი მეორეს ეკითხება:

– რომელი ცნობილი პროვოკატორები იცი?
– მხოლოდ ერთი.
– რომელი?
– კომპოზიტორი მენდელსონი.
– რატომ არის პროვოკატორი?
– მილიონობით სულელისთვის „საქორწინო მარში“ დაწერა, თავად კი მთელი ცხოვრება უცოლოდ გაატარა.

●●●

მამაკაცს ეკითხებიან:

– მეუღლესთან საქორწინო კონტრაქტი გაქვთ გაფორმებული?
– მე მას უფრო ურთიერთთავდაუსხმელობის პაქტს დავარქმევდი.

●●●

ფსიქიატრი ბავშვს ეკითხება:

– აბა, თუ მეტყვი, რამდენი ფეხი აქვს კატას?
– ოთხი.
– რამდენი ყური აქვს კატას?
– ორი.
– რამდენი თვალი აქვს კატას?

ამ დროს ბავშვი დედას მიუბრუნდა და ეკითხება:

– დედიკო, ამ დებილს ფისო არასოდეს უნახავს?

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## კრიშტიანო რონალდუმ ტრავმა მოიშუშა



იუვენტუსის პორტუგალიელმა სუპერვარსკვლავმა კრიშტიანო რონალდუმ ტრავმა მოიშუშა და ვარჯიშს შეუდგა.

რონალდუმ მცირე ტრავმის გამო ბრეშასთან მატჩი გამოტოვა და ფიფას დაჯილდოებასაც არ დაესწრო, თუმცა, ბოროტი ენები ამბობენ, რომ რონალდუმ ეს სხვა მიზეზების გამო გააკეთა. ასეა თუ ისე, კრიშტიანო უკვე მწყობრშია და ის იუვენტუსის შემდეგ შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებს.

იუვენტუსი საკუთარ მოედანზე სპალს მიიღებს და ამ შეხვედრაში გამარჯვება არ უნდა გაუჭირდეს.

## ფრენკ ლამპარდი: „მანჩესტერ იუნაიტედი მაინც სახიფათოა“



ჩელსი ინგლისის თასზე მანჩესტერ იუნაიტედს დაუწყვილდა და შემდეგ წრეში სწორედ ეს ორი გუნდი გაარკვევს ურთიერთობას. ჩელსის მწვრთნელმა ფრენკ ლამპარდმა განაცხადა, რომ მიუხედავად ცუდ ფორმაში ყოფნისა, მანჩესტერ იუნაიტედი მაინც სახიფათოა და მათთან ჩელსის რთული მატჩი ელის:

– მახსოვს, როდესაც ფეხბურთელი ვიყავი, როგორ გვიჭირდა მანჩესტერთან სტუმრად თამაში. ახლანდელი იუნაიტედი იმ გუნდზე გაცილებით სუსტია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იოლი გასეირნება გველის. ჩემს ფეხბურთელებს ეს კარგად ესმით.

## მესიმ, შესაძლოა, ორი კვირა გააცდინოს



ლიონელ მესის ტრავმა ისეთი მსუბუქი არ აღმოჩნდა, როგორც თავიდან ვარაუდობდნენ და ლეომ, შესაძლოა, ორი კვირა გამოტოვოს.

მესი არ ითამაშებს ხეტაფეს წინააღმდეგ და ინტერთანაც მისი მოედანზე გამოსვლა თითქმის გამორიცხულია.

მესის ბარძაყის კუნთი აქვს დაჭიმული. არგენტინელი ვარსკვლავი მოედანს ოქტომბრის პირველ ნახევარში დაუბრუნდება, თუმცა ზუსტი თარიღი ჯერ ცნობილი არ არის. ტრავმების გამო მესის თითქმის მთელი სექტემბერი გაუცდა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## ლაშა ტალახაძე ოქროებსა და რეკორდებს აგროვებს



ლაშა ტალახაძე მსოფლიოს 4-გზის ჩემპიონია! 25 წლის ქართველმა ძალოსანმა ტაილანდის ქალაქ პატაიაში დასრულებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ფენომენალური შედეგი აჩვენა.

იმას უკვე მიჩვეული ვართ, რომ ლაშა ფიცარნაგზე მაშინ გამოდის, როდესაც ყველას თითქმის დასრულებული აქვთ ასპარეზობა. ამჯერადაც ასე იყო – ლაშას „კონკურენტმა“ გორ მინასიანმა ატაცში 207 კილოგრამი მე-2 ცდით რომ ასწია, ჩვენებური მხოლოდ მაშინ შეუდგა საქმეს. 208, 215 და 220 – ასეთი თანმიმდევრობით აიტაცა ქართველმა გოლიათმა შტანგა და მსოფლიოს რეკორდი დაამყარა.

იგივე განმეორდა აკვრაშიც: ტალახაძე და შტანგა ბოლოს მარტო დარჩნენ ერთმანეთის პირისპირ. ლაშამ 247 კილოგრამით წაივარჯიშა, 255 კილოგრამით ჩემპიონობა გაიფორმა და შემდეგ მსოფლიოს რეკორდს შეუტია.

264 კილოგრამი – ასეთია ახალი მსოფლიოს რეკორდი, რომელიც ქართველ სპორტსმენს ეკუთვნის.

ლაშამ მსოფლიოს რეკორდი ორჭიდის ჯამშიც დაამყარა – 484 კილოგრამი.

მე-2-3 ადგილები სომეხმა ძალოსნებმა დაიკავეს: გორ მინასიანმა 460 კილოგრამი მოაგროვა, რუბენ ალექსანიანმა – 237.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## მსახიობი ზურა ნიჟარაძე „კომედი შოუს“ წევრი გახდა



მსახიობი ზურა ნიჟარაძე, რომელიც პოპულარული სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებით“ გახდა, „კომედი შოუს“ მსახიობებს შეუერთდა.

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის იუმორისტებთან ერთად ზურამ უკვე მიიღო მონაწილეობა „კომედი შოუს“ პირველი გადაცემის ჩაწერაში.

– იუმორი ჩემი ცხოვრებაა და ძალიან მინდა, „კომედი შოუც“ ჩემი ცხოვრების ნაწილი გახდეს... არაჩვეულებრივ გუნდს შემოვუერთდი და ვისურვებდი, მეც ისეთივე წარმატებული ვიყო ამ ხაზით, როგორიც ისინი, – აცხადებს მსახიობი.

## სუხიშვილები „ბანასთვის“ იცეკვებენ




ხანგრძლივი პაუზის შემდეგ სუხიშვილები თბილისში კონცერტს გამართავენ და „ბანას“ მშენებლობაში თავიანთ მოკრძალებულ წვლილს შეიტანენ.

საგასტროლო ტურნეში გამგზავრებამდე ქართული ნაციონალური ბალეტი „სუხიშვილები“ მაყურებლის წინაშე განახლებული პროგრამით წარდგება.

„სუხიშვილები ბანასთვის“ – ასე ეწოდება კონცერტს, რომელიც 13 და 14 ოქტომბერს დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. რომის იმპერატორთა ტიტული; 2. მდინარე თბილისში; 3. ისტორიული ციხე-ქალაქი თეთრიწყაროს რაიონში; 4. წვრილმანებით მოვაჭრე ძველ თბილისში; 5. ბრილიანტის თითოეული გვერდი; 8. მხატვრულ ფილმ „ფატიმას“ რეჟისორი; 9. სასულიერო პირთა უმაღლესი წოდება კათოლიკურ ეკლესიაში; 12. ზღვაში წვეტად შეჭრილი ხმელეთის ნაწილი; 14. მდინარე სვანეთში; 16. ავი, ანჩხლი დედაკაცი.

**თარაზულად:** 1. ცნობილი ქართველი მეღვინე; 6. პირველი გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის სახელწოდება; 7. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 9. ერთ-ერთი მთავარი ღვთაება ინდუიზმში; 10. ძველი ებრაული ბიბლიის სახელწოდება; 11. ძლიერმოქმედი ნარკოტიკი; 13. მომღერალი, მუსიკოსი შუა აზიაში; 15. პატარა მოთხრობა; 17. აზოვის ზღვის ძველი სახელწოდება; 18. ქალაქი-მუზეუმი საქართველოში; 19. ამერიკული ავიაკოსმოსური კონცერნი; 20. ჰოლანდიური ელექტროტექნიკური კომპანია.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

